მეგრულად **ულა** (ულა) რომლის ფუძეც ისევე არის **“ულ”**, ნიშნავს *სვლას, წახვლას*. სიტყვა **გილა-ულ-არი**, რომლის ფუძეც ასევე იგივე **“ულ”**-აა ნიშნავს *სახიარულოს*. ქუჩა სწორედ ის ადგილია, სადაც ხდება ადამიანთა მიმოსვლა, სიარული. გამოდის, რომ ამ სიტყვის არსს განმარტავს კოლხური **“ულ”** ფუძე, თვით რუსულით კი ეს სიტყვა განუმარტავია.

**ჰიმნი** (ბერძ. *hymnos*) – სახეიმი საგალობელი ღმერთებისა და გმირებისადმი. ამ სიტყვის ბერძნული ეტიმოლოგია (*hymnos*-იდან, რაც ნიშნავს ქსოვილს) საეჭვოა, როგორც ეს ასევე აღნიშნულია ად. ვეისმანის ბერძნულ-რუსულ ლექსიკონში.

ჰიმნების სრულდებოდა უძველესი დროიდან გუნდის, ქორალის მონაწილეობით. ეს ჰიმნები შეიძლება იქნენ ასოცირებული დიდ ხმაურთან (ხუმინთან), რადგანაც ჰიმნები სრულდებოდა ზემოთის დროს და ქორალის (*choros*) ყოველი მონაწილე ამდებოდა განწყობით ასრულებდა სიმღერას. ჩვენი აზრით სწორედ კოლხური ხუმინიდან უნდა მომდინარეობდეს ბერძნული ჰიმნი.

ასევე კოლხური წარმომავლობისად მიგვაჩნია სიტყვა ქორალი (*choros*), რომელიც ჩვენი აზრით უკავშირდება მეგრულ ღორას – ღრიალს, ყვირილს. მართლაც ქორალის მიერ შესრულებული მუსიკალური ნაწარმოებები შეიძლება ღრიალს, ყვირილს შევადაროთ.

ამით დაეკარგულეთ ჩვენი მცირედი ლექსიკონი, რომელშიც შევეცადეთ უძველეს ენებში, როგორებიცაა ბერძნული, ლათინური და სხვა, შევეძინა კოლხური ძირები. თუ როგორ შევძელით ეს მკითხველის გადასაწყვეტია. რა თქმა უნდა ამ სტატიაში ბევრი რამე შეიძლება იყოს გასაკრიტიკებელი. თუნდაც ის, რომ მასში მეცნიერულ (ენათმეცნიერულ) დონეზე, ენათმეცნიერული ტერმინოლოგიით არ არის დასაბუთებული ამა თუ იმ სიტყვის კოლხური წარმომავლობის საფუძვლიანობა. მაგრამ მიუხედავად ამისა ჩვენ შევეცადეთ. ჩვენი ინტუიციური ხედვით მოგვეტანა პარადიგმები იმისა, თუ როგორ შეიძლება მიმოფანტული ყოფილიყვნენ კოლხური ძირები მსოფლიოს სხვადასხვა ენებში.

არსებობს მოსაზრება, რომ კოლხური (იბერიული) მოღვმის ხალხი განსახლებული იყო ხმელთაშუა და შავი ზღვების

სანაპიროებზე. ჩვენ შევეცადეთ ჩვენი მცირედი წელიწადი შეგვეტანა ამ მოსაზრების სამართლიანობის დასაბუთებაში.

**“ცოტნიედლის“** წინა ნომერში ჩვენ გამოვექვეყნეთ სტატია ამავე სათაურით, რომლის გაგრძელებასაც წარმოადგენს წინამდებარე სტატია. უცხო სიტყვათა კვლევად მოცემულ სტატიაში შევიტანეთ ქართული სიტყვებიც, რომელთა კოლხური წარმომავლობა აშკარაა, რადგან ამ სიტყვათა მნიშვნელობა იხსნება სწორედ კოლხურის მეშვეობით.

ჩვენში გაბატონებულია მოსაზრება, თითქოს მეგრული და სვანური ენები წარმოადგენენ ქართული ენის განშტოებებს, რაც ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს. უკვე საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მეგრული ენის ლექსიკა შეიცავს ათეულ მილიონობით სიტყვას (მაძამია, ცაძამია და ვ. ვახანია, **“მეგრული ენის ლექსიკა და სიტყვათწარმომავლობა“**) და საინტერესოა თუ როგორ იქნებოდა შესაძლებელი ასეთი უნიკალური ენა გამოყოფოდა ენას, რომლის ლექსიკური შესაძლებლობები გაცილებით მოკრძალებულია.

მეორეს მხრივ ვერთულებ ენათა სიტყვების ძირებში მრავალადა მიმოფანტული კოლხური ძირები, რომლის მაგალითებსაც ამ სტატიაში იპოვნით და რომელთა აღმოჩენის საქმეში ჩვენ პიონერები არა ვართ. ეს მოვლენა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ კოლხური ადრეულ ეტაპზე ვრცელდებოდა გაცილებით დიდ ტერიტორიაზე, ვიდრე ეს დღესაა. ამის დამადასტურებელია ის ფაქტი, რომ ახალგაზდა მეცნიერმა ვია კვაშილაგამ კოლხურად გაშიფრა ფესტოს დისკოს განიღმდებოდა ტექსტი და ცნობილი დასავლელი მეცნიერების მიერ ეს ფაქტი უკვე საყოველთაოდ აღიარებულია.

დღეისათვის შეიძლება ითქვას სრული კატეგორიულობით, რომ მომრავლდნენ ისეთი სწავლულები, რომლებიც ღრმად იხედებიან კოლხური ენის თავისებურებებში, სრულად აღიქვამენ მის უნიკალურ შესაძლებლობებს და სათანადო პოპულარიზაციას შეუძლებენ. იმედია ეს პროცესი არასოდეს შეწყვეტება. ახლა კი უშუალოდ სიტყვები.

**აბუკურა** – ძველი ქართული მწერლობის ძეგლი. ამ სახელწოდების მქონე ნაწარმოების არსებობა მეცნიერებისათვის ცნობილი გახდა **“იოანესა და ექვთიმეს ცხოვრებიდან“**, სადაც იხსენიება მხოლოდ ძეგლის სათაური **“აბუკურა“**. XIX ს. 80-იან წლებში გამოთქვა ვარაუდი, რომ ამ სახელში **“ცხოვრების“** აგტორი შეიძლება გულისხმობდეს რომელიმე აპოკრიფს ძველ ქართულში დამოწმებული აბუკოროფა-აპუკოროფას ანალოგიით.

სწორედ აბუკოროფადან უნდა მომდინარეობდეს მოცემული სიტყვა **“აბუკურა“**, ხოლო თვით აბუკოროფა უნდა იყოს მიღებული ამბუკოროფა-დან, რაც მეგრულად სიყვარულის ამბავს ნიშნავს.

ბერძნული აპოკრიფის (*apokryphos*), რაც ბერძნულად დაფარულს ნიშნავს, პროტოტიპად ასევე იგივე კოლხური ამბუკოროფა ან აკოპოროფა (დასიყვარულება) უნდა ჩავთვალოთ, რადგან იგი ეხებოდა სიყვარულს და არა საღვთო ღოცვას, სწორედ ამიტომ იყო აკრძალული, დაფარული.

როგორც ცნობილია **“იოანესა და ექვთიმეს ცხოვრება“** დაწერილია გიორგი მთაწმინდელის მიერ და გამოცემულია, რომ მას არ ცნობდნენ სიტყვა **“აბუკურას“** ის ნამდვილი მნიშვნელობა, რომელზეც ზემოთ გვქონდა საუბარი. ასეთ შემთხვევაში გამოდის, რომ ის გათვითცნობიერებული იყო კოლხურ ენაში და გამოცემული არაა, რომ თვითონაც კოლხური წარმომავლობის იყო.

**Accuratus** – ლათინურად ნიშნავს: მონდობით შესრულებული, გულდასმითი, ზუსტი, კარგად მოფიქრებული. ასევე ლათინური *ac-curo* – ნიშნავს მონდომებას, ზუსტ შესრულებას; ზრუნვას.

ამ სიტყვებში აც არის პრეფიქსი, რადგან სიტყვებს *curatus*-ს და *curo*-ს აქვთ იგივე მნიშვნელობები როგორც *accuratus*-ს და *ac-curo*-ს.

**წმუზარ კვაშილაგა**  
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

## ორთაშ ერთი

ორთაშ ერთიშ ხენწყიორი, თიში ნეშა მენწყიორი თიშ ხეშხერათ გილურც კონი, კვარჩხ-მორბევიშ გენწყიორი. ორთას მუთ ანკი უღუნი, გიშულირს რე გოქალირი; თიში ფეშხერა სკვასკვალანც ანდაფერო გოფალირი. პეულევიშ ქუჩუნი ი რე გოჭყაფუშ ოჭყაფურე. გომარტუას თე გოჭყაფუ კენ მუშ დუღიშ მოჭყაფუ რე-ორთა მუში მირიკევით მაცხორცხალი, მაჭვართუ რე-ორიშ შურიწმადგუმალი ორფელიში მაჭყვადუ რე-ორთა ჩქინი მენძელი რე-ორფელიში მარდუალი. მით დო მუი ქუდურუნი აკაშ ვარე მარგუალი.

## ქევი პიპა, გეპურცხი

ქევი პიპა, გეპურცხით გლობალევი გამირენა. ჯიმა ჯიმაშ უგვანჩუანც, სონდოსონი დო მი რენა. ნამდგარენევი მუს ნჯენა, მუღა ღორონი უნჯგორა; ზანევიშ ნინას ჩართხა, მაზაკალევი უნჯგორა. აიეტეშ მონბუშ შურემს ანგილოზევი გარენა. ხეს ჩონგური უკეპუნა, დიდოუნანას გალენა. ერენს მარენჯი შურევი ზანიშ ნინას მიშინანა, – ნინას მუკუელეთიავა, გვამაცვალ მიჩინანა. არამხურტუშ მითალევი, მერჩან ნარანიშ დარანა; მორბადეს გორზამუღას ალიაკონი პარანა. კურცხეთი დო ღურენჯოთი ცხაცხამუტი ორდათია; არამხურტუშ ვანერევი ღორონოქ არმა მორრდათია. ვამორლასუდან ჯოხობუ, დუღიშა გიძინუდანი. შურდოგურქ ვალგოშქირტანი, მორბევაშ გეჯინუდანი. ვანაფერი ზანიშ ნინა უმიჯნურო ვამწიტუათ, ნტერეშ გიორკიტაფალო თე ქიანას ვამწიფუათ.

## მურთაზ ჯანჯღამა

### ტარიელ ფუტბარამის და მსტამისა მისთა

დღედაღამ იბრძვი, კვირებ ხელში უტარო ბურჭულით – ჩვეულებრივი წალღია, შენ კი გგონია ურჩული. მიდგე-მოდგე, მაგ ბურჭულს ენება ტარიც დააგო, შემდეგ კი მიღეწ-მოღეწო ვაზანთა ბუღე და არუო. ხელსა კრავ იმას, რაცა გვაქვს, ეს სადაური წესია, რად არის შენთვის ტუტელი, რაც კოლხებს დაუთესია. „სეპარატისტად“ შობილნი ფაზისში ახლაც დადიანს, „ცალკე სამეფო შექმენით“ – „უთქვამს“ დიდ ცოტნე დადიანს. – გვიშველეთ რამე, ტარიელ, – ვეფხისტყაოსანს თარგმანიან, მეგრულად ლაპარაკობენ, ანიგვარაში გარბიან. ჩემი არ გჯერა? – ნუ გჯერა, მოუხმე თუნდაც აკაკის, რას მაიმუნობ, შე კაცო, მართლა ხომ არ ხარ ბოიკი ხარ! ფუტკარი არ ხარ, ბოიკი ხარ, თან ყალბი ოქროცურვილით, პოლემიკაში არ გიწვევ, არა მაქვს მაგის სურვილი. ფესზე „ჯღარკები“ ჩავიცვამს, ადრე მურმანის ნაცვამი, რადა ხარ ქართული ენის ბორთვი დღეინაცვალი?! ენა ჩვენი სიმდიდრე, „გვაქვს უთვალავი ფერთა“, შორს მიდის მისი ფესვები, ვერვინ ამოგლეჯს კვირდან. ზურგს რომ გიმარებებს ვიდაცა და ვიდაცათა „გილიდა“, ვიცი და ძმურად გაფრთხილებ, ცოლდა გვაქვს დიდუ დილია. ზვიადის გვერდით იყავი, მაგრამ ყოფილხარ ფლიდია, ენა-ქართული, დეთის ენა რადგან ფესებზე გკიდა. აღარ მოგისმენს არავინ, არც ფარნავაზი, არც ქუჯი, მოეშვი წმინდა სახელებს, ნურვინ გგონია ყრუ-მუნჯი. შენ რა მოგიყვანს ტუტაზე, (რა უნდა გითხრა იმდენი), გიჯობს, გულდასმით იკითხო შურნალი „ცოტნიედლი“.

ზაშურ კვარაცხელი, ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

**გაზეთი “ილორი” და სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ზუგდიდის ორგანიზაცია თანაურგძნობენ გულად (გური ოტობაია) და თენგიზ ფეტვალაებს დედის, კლარა ბელენავა-ფეტვალავას გარდაცვალების გამო**



# “უაინს არ ვნებდებით, ბოლოვდა ვიბრაციით” – ეკონომიკა უკანა ფაზაშია

(სამეგრელოშიც ბევრი ბუნებრივად უხვი მაგრამ რეალურად უკაცრიელი ადგილები)



გახსოვთ ალბათ, ვერდიტ კიდევ, შარშან, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, წლის ახალგაზრდა, წარმატებულ ფერმერად, 24 წლის ნოდარ ტოხოსაშვილი რომ დაასახელა. სამ წელზე მეტია, რაც უკანა ფაზაში, სოფელ ვაკის სოფელში (ზღვის დონიდან 1500 მეტრი) დედასთან ერთად, მეურნეობას უძღვება.

დედა-შვილი გაზაფხულზე, ფშავის ბოლო და უმაღლესი წერტილისკენ, ბორბალის მთის მიმართულებით მიდის, სადაც შემოდგომამდე რჩებიან და თავდაუზოგავად შრომობენ. მოჰყავთ ბოსტნეული, აწარმოებენ თაფლს და მესაქონლეობას მისდევენ. “რასაც მე ვაკეთებ, ეს არის საშუალება, ოჯახი არჩინო და სხვის არ უყურო ხელეში, ტყუილად არ მოცდე და იმუშაო ისე, როგორც შესაძლებელი იქნება”, – ამბობს ნოდარი, რომელსაც საინტერესო გეგმები აქვს.

ახალგაზრდა ფერმერი აწარმოებს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებს: ჩაის, დამბალხაჭოს, რძის პროდუქტებს, თაფლს, მოჰყავს ბოსტნეული. სწორედ ამის გამო მას “ეკობიტი” შეარქვეს.

ზამთარში თოვლი მთ სოფელში თვეობით დევს და მარტის ბოლოს დნება. ამიტომ ზამთარს დედა-შვილი ბარში ატარებს. თუმცა 7-8 წლამდე იმ სოფელში ცხოვრობდა. სკოლა 14 კილომეტრში იყო, რის გამოც პირველ კლასში ვერ წავიდა, სამაგიეროდ, დედას სახელმძღვანელოები ჰქონდა და ამეცადინებდა.

“ალბათ, სკოლა რომ არა, მთიდან ბარში არც ჩამოვიდოდით. დუშეთში დაგიწვე სწავლა. თუმცა, გაზაფხულზე სოფელში მივედიოდი და მეურნეობას ვიწყებდით. იქიდან შემოდგომაზე ვბრუნდებოდით და ჩვენი მოწვეული დოვლათი ჩამოგვტოვდა. ასე გადიოდა წლები, დავამთავრე სკოლა, სასულიერო სემინარიაში ვიწავლე, ვისწავლე, მაგრამ ისე მოხდა, რომ სწავლას თავი დავანებე. შემდეგ გერმანიაში გავემგზავრე, მალევე უკან დავბრუნდი, თუმცა გერმანიაში ცხოვრება სხვაგვარად დამანახა: ვნახე გამართული

სოფლები, აწყობილი აგროსექტორი, მშრომელი ადამიანები. რატომ არ შეიძლება ისევე ვიცხოვროთ, როგორც იქ ცხოვრობენ? ამიტომაც წამოვიწყე მეურნეობა”, – ამბობს ნოდარი.

პროდუქციას სოციალური ქსელის დახმარებით ყიდის. თავისი მომხმარებელი ჰყავს, რომლებიც თავად უკავშირდებიან, თან ისეთ რძის პროდუქტებს ამზადებს, რომელთა შენახვა ხანგრძლივად შეიძლება. ბოსტნეულსაც ასეთი ნიშნით არჩევს. “საქონელს ვეირაობთ მათგან, ვინც ვერ უფლის. პირუტყვს ვიბარებთ, ვინახავთ, შემოდგომით კი უკან ვუბრუნებთ. რძის პროდუქტების ნახევარი ჩვენია და ნახევარი მათი. მაღალხარისხიანი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტს ვაწარმოებთ”.

– შენ და დედა მუშაობთ?  
– დედა აგრონომია და ძალიან მეხმარება. მიწა დედაჩემს მშობლებისგან ერგო. 2 ჰექტარი სახნავ-სათესია. არც ისე დიდია, დანარჩენი ფერდობი ადგილებია, რასაც საძოვრად ვიყენებთ. ზაფხულში აქ 6-7 ოჯახია, ბოლო 3 სოფელში კი, უკანა ფაზაში, ზამთარში მხოლოდ სამი ოჯახი რჩება, ერთმანეთს ეხმარებიან. ბართან გაზაფხულამდე კავშირი არ აქვთ. მთაში, საცხოვრებლად და საარსებოდ ელემენტარული პირობებიც არ არის: ელექტროენერჯია და კავშირ-გაბმულობა სანატრელია...

ქვეყნის მოსახლეობას მთავრობის დახმარება სჭირდება. გასულ ზაფხულს ორთვენახევარი გზა არ გექონია, ფშავის არაგვმა წაიღო. წელსაც ასეა, იმ დღეს საკუთარი ხელით ვაკეთებდით გზას... ხალხის გასაჭირი მეტად უნდა მიიტანონ გულთან, ხშირად ჰკითხონ, რა სჭირდებათ.

– საგაზაფხულო სამუშაოები დაასრულეთ?  
– უკანა ფაზაში ეს სამუშაოები მიმდინარეობს, ცოტა ხანში დასრულდება, ნაკვეთი გაიზარდა, სამთო მექანიზაციის ცენტრი გვაქვს (ანუ ხელის ტრაქტორები, რომლებიც შარშან გრანტით გვაკეთეთ). ჭარხალი, სტაფილო, გოგრა და კომბოსტო დამრჩა დასათესი, ასევე ბარდა და “გრეჩინა”, ბროკოლიც უნდა ვცადო.

– წიწიბურის დათესვა რაღაც ახალი მგონია...  
– აღრე (30-40 წლის წინ) თურმე თესავდნენ და ალბათ ახლაც მოვა... რამდენიმე დღეში საქონელიც ამოვა ბარიდან, ასევე დაიწყება ფუტკართან მუშაობაც, სხვა ყველაფერი ძველებურად არის. არაგვი, ხომ ვამბობ, გზას აფუჭებს, დღეს ტრაქტორი ავიდა, – მთავარი პრობლემა ეს არის... ვცდილობთ, ხმა მივაწვდინოთ, ვინც გულთან მიიტანს ჩვენს გასაჭირს, მაგრამ ჯერ კონკრეტული არაფერია, სანამ არ იქნება ყურადღება, აქტივობას არ შევწყვეტთ...

– ე.ი. მთელი ზაფხული ტელევიზორიც არ გაქვთ...  
– მხოლოდ მზის ენერჯიაზე და ისიც მაშინ, თუ მზიანი დღეა, 2-3 საათი ვუყურებთ. მოკლედ, ქალაქთან კომუნიკაციაც ჰქონდა, თუ სპეციალური ადგილი არ შევარჩიეთ, ტელეფონით ვერ დავრეკავთ.

– ახლა რამდენი კომლი ხართ მანდ?  
– 5. ზამთარში – 3 რჩება.

– რა ტრანსპორტით ადინართ?  
– ბარიდან “უაზით”, მერე სხვა მანქანაში ვინაცვლებთ და 4 კილომეტრი უკვე დიდი სამხიდიანი მანქანით ავდივართ... მაგრამ მაინც არ ვნებდებით სიტუაციას, ბოლომდე ვიბრძობთ.

ლალი ფაცია, ანაბი.პე

# ბაქა სიხინიაძე: 2011 წლის 26 მაისს აპაღსასენაზე დაიწყო დასახლების დასჯა

წლის 26 მაისს იხსენებს: იმ დამეს საქართველოს დამოუკიდებლობის დასჯა ცდად!

იმ დამეს სურვილი ჰქონდათ თავისუფლება, თავისუფალი სიტყვა და თავისუფლების მოყვარული ვრი დაესაჯათ!

ამიტომაც მოინდომეს ასე გავეშებით ღირსეული წინაპრების, ქართული გენის მატარებელი მამულიშვილების დასისხლიანება!

მანქურთებმა იმ დამეს ის სისხლი დაღვარეს, რომელიც თავად არ აქვთ, არც ჰქონიათ და ვერც ექნებათ! დიას, ის სისხლი რომლისაც ყველაზე მეტად ეშინოდათ და დღესაც აშინებთ!

ეს კი შეგნებულად 26 მაისის დამეს მოიმოქმედეს, რადგან საქართველოს შეიღებს დამოუკიდებლობის წინ ეგლოვათ! დიას, ზოგიერთი მანქურთი დღესაც სადისტური ღიმილით უყურებს დამოუკიდებლობის წინა დღეებში მამულიშვილთა მგლოვიარე სახეებს და სიამოვნებას ჰგვრის ის აზრი, რომ დამოუკიდებლობა ჩაგვაშხამა!

ეს არის მტრობა და მტერია ყველა, ვისაც უნდა საქართველოს დამოუკიდებლობის სიხარული გლოვას დაამსგავსოს! მტერია ყველა, ვისაც უნდა თავისუფლება ტანჯვას დაამსგავსოს! მტერია ყველა, ვისაც სურს გამარჯვება დამარცხებად წარმოაჩინოს!

ისინი დაუნდობლად გვებრძოდნენ, რადგან არ შევეთქვიფეთ მომხდურ მტერს და იმპერიათა ჭიდილში საკუთარი თვითმყოფადობა შევიწინარჩუნეთ! იმათმა ისიც იცოდნენ, რომ მტერთან ბრძოლა იმდენად გამოგვაწრთო მხოლოდ უქმად ყოფნით თუ დაგვამარცხებდნენ! ამიტომაც გვიტევდნენ ფიზიკურად და ამასთან ერთად სოციალური მიმართულებით ცდილობდნენ მივეყვანეთ ფსიქოლოგიურ სასოწარკვეთილებამდე და ტვინთა გამოსათავისუფლებლად გახნილიც აქვთ საინფორმაციო ფრონტი, სადაც ერთადერთ მოთხოვნას გვიყვებენ დაგაკანონონ სოლომ-გომონი და დავნებდეთ!!!

ამიტომაც არის, რომ ყოველი თავისუფალი ნების გამოსხატვისას ცდილობენ დაგესაჯონ! ამიტომაც სურდათ, რომ ყოველი დამოუკიდებლობის სურვილის გამოვლინება ჩაეხშოთ და ის სისხლთან და ცრემლთან ყოფილიყო ასოცირებული! ამიტომაც დაუპირისპირდნენ ყველას, ვინც მორჩილება არ გამოუცხადა უცხოტომელებს! აი, ეს მოხდა და ამას ეცადნენ 26 მაისს!

2016 წელი. დღეს, 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება!

გილოცავთ საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს. გისურვებთ აგახდენოდათ ოცნება და გვეცხოვროს ერთიანი, ძლიერ და გაბრწყინებულ საქართველოში”, – წერს ბექა სიხინიაძე.

ნენე სტიფანიშვილი

# ზაზა სიამაშვილი: წაღით ჩემი ქვეყნიდან!

პროფესორი ზაზა სიამაშვილი მის ყოფილ კოლეგას, “ნაციონალური მოძრაობის” ბელადის გიგა ბოკერიას დედას, ნანა ალექსანდრიას მიმართავს და წერს:

– “ნანა ალექსანდრიას!!!

ვიდრე კოლეგები ვიყავით, პატივს ვცემდი ჩემს მეგობრებს და იმ ადამიანებს, ვისთანაც ერთად მოვედი სასახლეში...  
ახლა, რადგან აღარ ვარ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის თანამშრომელი, უფრო თავისუფლად ვწერ...  
თქვენ ნაბიჯად და გარეწარი შვილი გყავთ, კიდევ უფრო უარესი რძალი და მამაკეცები თქვენნი, როგორც დედის წილი სისხლზე გაწვრთნილი და დაგეშილი ჯალათის აღზრდაში...  
თუ თქვენ აღზარდეთ, მაშინ თანაუგრძობო ყველას, ვინც თქვენთან დადის ჭადრაკში დასაოსტატებლად...  
მინტერესებს რას ფიქრობთ, როდესაც დამე დასაძინებლად მიდიხართ, – ვინ კი არა, რა გაზარდეთ?  
ან რად გაზარდეთ?  
თქვენ ხომ იცით (უკვე წინსწრებით!) რომ ასეთი შვილის დედობას ყველაზე უარესი სჯობს...  
არ იცით?! კიდევ უარესი!!!  
განათლება მიეცით?! ისევ და ისევ – სჯობდა სულაც გაუნათლებელი დარჩენილიყო...  
გიყურებდით, როგორი „აღშფოთებული და შეჭუბული“ მიქროდით შვილი რომ გაგიღახეს...  
როგორ აკადრეს, როგორ შეგბედეს...  
თქვენ რომ უსაფრთხოდ დადიხართ მე ვე მაცოცხლებ...  
ფრთხილად იყავით, ნამდვილად აღარ ხართ დაცული იმდენი შხამი და ბოროტება დაუბროვია თქვენმა ძლოცმა ხალხს გულში, გონებაში...  
ბევრია გამწარებული დედა, მამა, და, ძმა, შვილი...  
ამ პატარა ქვეყანაში ამდენი შხამი დიდი „ფუფუნება“ და დოზირება რომ არ იცით, ეს აშკარად გეტყობათ...  
თქვენს ადგილას ნამდვილად არ ვინა-ტრებდი ყოფნას, მაგრამ გეტყვით – დროზე გაეცალეთ სასახლეს და მერე ამ ქვეყანას...  
ნამდვილად ვერ უზრუნველყოფს ჩემი სახელმწიფო თქვენს დაცვას, ან რატომ უნდა დავიცვაოთ?  
რა დამსახურების გამო? თქვენს მედლებს და პრიად-პრიად ლითონებს ჩალის ფასი აქვს...  
ცხოვრებას კიდევ უფრო დაბალი...  
იმის მაგივრად, მუხლებზე დავარდნილი პატივს ითხოვდით, გააგებულ სახით დადიხართ და სპორტსმენების დასჯას ითხოვთ!  
აქაც კარგად იკვეთება თქვენი უზნეობა და სრული გაუთვითცნობიერებლობა...  
ჩემს თავზე ვბრახდები – მგლის თავზე სახარებას ვინ კითხულობს?! წაღით ჩემი ქვეყნიდან!” – წერს სიამაშვილი.

# ღიმიტრი ბოლშოვი მიხეილ სააკაშვილზე: რა ეპონა ქართველ ღიშტატორს?!

(საკაიანცს უკრაინაშიც ერხება)

უკრაინელმა სამართალდამცვეებმა ოდესის ოლქის ადმინისტრაციაში ის კაბინეტი გახსრიკეს, რომელიც უკრაინული მედიის ცნობით, მიხეილ სააკაშვილის თანაშემწეს თემურ ნიშნიანძეს ეკუთვნის. ასევე მათი ინფორმაციით, ეს იმ ფონდის რეგისტრაციის მისამართია, რომელსაც ნიშნიანძე ხელმძღვანელობს. გუბერნიის შენობაში სამართალდამცვეების შესვლას ოლქის ხელმძღვანელის გაღიზიანება მოჰყვა.

უკრაინული მედია წერს, რომ საქმე საავარაუდო ფინანსურ მაქინაციებს უკავშირდება და ასევე გამოიძევა შეისწავლის ნიშნიანძის ხელმძღვანელობით არსებული ფონდის საქმიანობას.

აღინიშნულ თემასთან დაკავშირებით უკრაინის რადას დეპუტატი “პეტრო პოროშენკოს ბლოკიდან” დიმიტრი გოლუბოვი კომენტარს აკეთებს.

“ხალხი დაიღალა რეკევისგან და ქართული სამშოს მოთხოვნებისგან. ქართველ დიქტატორს რა ეგონა, როდესაც მის დაქვემდებარებაში მყოფები ავზავნიდნენ წერილებს მსხვილ გადახმდებლებთან, სთხოვენ მილიონობით გრინვას მათი “ოპოზიციონის”. რაზე ფიქრობდა, როცა მეომართა ფონდს სთხოვდა 8 “ჯიპს”. ის ფიქრობდა საქართველოში მოახლოებულ საპარლამენტო არჩევნებზე”, – განაცხადა გოლუბოვმა.

უკრაინულმა მედიამ და შემდეგ სააკაშვილთან დაპირისპირებულმა უკრაინის რადას დეპუტატმა დიმიტრი გოლუბოვმა ამ ფონდის მიერ გადარიცხული თანხები გაასაჯაროვეს. უკრაინულ მედიაში გამოქვეყნებული ამ დოკუმენტების მიხედვით აღმოჩნდა, რომ საქველმოქმედო ფონდი აფინანსებდა ოდესის ოლქის გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილის რეკლამებს, ასევე ნაყიდი აქვს თვითმფრინავის ბილეთები სააკაშვილის მეგობრებისთვის ზურაბ ადვიშვილის, გიორგი ლორთქიფანიძისა და სოფო ნიუარაძისთვის.

ოდესის გუბერნატორის თანაშემწე და ფონდ “ოდესის კეთილდღეობისთვის” (აქედან ხომ არ იხესხა პაატა ბურჭულაძემ თავისი პარტიის სახელი – “სახელმწიფო ხალხისთვის”) ხელმძღვანელი ბრალდებებს არ აღიარებს. რაც შეეხება სამართალდამცვეების მიერ ჩხრეკის შედეგად მის სახელში ამოღებულ 5000 დოლარს, ის ამბობს, რომ ეს თანხა მისი დანახოვია.

მარიამ პაიჭაძე  
“ილორი” კომენტარი: ერთ რამეში აშკარად ცდება თავის წერილში დიმიტრი გოლუბოვი, როცა სააკაშვილს ქართველ დიქტატორად მოიხსენებს. მან ალბათ არ იცის, რომ გარეგნ სააკაშვილი (და არა მიხეილ სააკაშვილი) ეთნიკური სომეხია და, როგორც პირწავარდნილი და შნაკი, საქართველოში სომეხური ბნელი საქმის საკეთუბლად მოავლინეს შეგარდნამე და მისმა ამერიკელმა დაქაშებმა!





სოსოსლავი ლავინა ქაული "ავლაგო" - სინფორსო ფაქაბი მერაბ კოსტავას სწოვრებში



საქართველოს თავისუფლებისათვის მებრძოლი, ეროვნული მოძრაობის ლიდერი, ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა 77 წლის გახდებოდა.

კოსტავა 1939 წლის 26 მაისს თბილისში, ოღლა დემურისა და ივანე კოსტავას ოჯახში დაიბადა. მშობლები განათლებულნი აღამიანები იყვნენ. ბაბუა - ვლადიმერ დემურია, ცნობილი საზოგადო მოღვაწე გახლდათ. მერაბ კოსტავას პიროვნების ჩამოყალიბებაში ბაბუასა და მშობლებთან ერთად, დიდი როლი ბიძამ, ცნობილმა მსახიობმა და ყოფილმა პოლიტიკატიმარმა გრიგოლ კოსტავამ (მედია ჯაფარიძის პირველი მეუღლე) ითამაშა, რომელიც პოლიტიკური აქტიურობისთვის ციმბირში გადაასახლეს. მისი იდეები მერაბს არსებული რეჟიმის წინააღმდეგ მებრძოლ გმირად აყალიბებდა.

სწავლობდა თბილისის ვაჟთა პირველ სკოლაში. გამოირჩეოდა ნიჭითა და სიბეჯითით, იმის გამო, რომ კარგი მუსიკალური მონაცემები აღმოაჩინდა, IX კლასიდან სწავლა ფაღიაშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში გააგრძელა. კარგად უკრავდა, მღეროდა, ლექსებს წერდა. მოსწავლეობის პერიოდში იწვებოდა პოლიტიკური მოღვაწეობა, რადგანაც გაიცნო და დაუმეგობრდა ზვიად გამსახურდიას და მასთან და რამდენიმე თანატოლთან ერთად, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი პირველი პატიოტელი, არაღვგალური ორგანიზაცია "გორგასლიანი" დააარსა.

1956 წლის დეკემბერში კი რუსთაველისა და მაშინდელი "პლენარისის" გამხირობებზე, იმ დროისთვის გამოკრებილი შინაარსის პროკლამაციები გაჩნდა: "ძირს პირსისხლიანი კომუნისტები, გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!" ანტისაბჭოთა პროკლამაციების გაგრძელებისთვის საიდუმლო ორგანიზაცია "გორგასლიანის" წევრები დაიჭირეს. სკოლის მერხიდან ასე ელიტური ოჯახების შვილები (ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა, ვოვა სიხარულიძე, თემურ ცერცვაძე, თამაზ გუნჯუა, გურამ ხსირტლაძე, ანატოლი მიქაძე, გურამ დონაშვილი) საპრობოლემოში. ექვსი თვის შემდეგ, როგორც არასრულწლოვანი, პირობითი სასჯელით გაათავისუფლეს.

მან მისაღები გამოცდები წარმატებით ჩააბარა ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, რომლის დასრულების შემდეგ (სხვადასხვა წელს) მუშაობს მუსიკის მასწავლებლად რუსთავისა და თბილისის II საშუალო სასწავლებელში... მოგვიანებით ჟურნალ "ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" რედაქტორი გახდა, სადაც ქართული მუსიკისა და თეატრის განვითარების საკითხებზე წერილებს აქვეყნებდა.

1972 წელს მერაბ კოსტავამ ზვიად გამსახურდიასთან ერთად, საქართველოში აღამიანის უფლებათა დაცვის საინიციატივო ჯგუფი ჩამოაყალიბა. რეპრესიები მის წინააღმდეგ არ წყდებოდა. სშპ-ში გამუდმებით უთვალთვალებდა. მის სახლთან ყოველთვის მორიგობდა უშიშროების მანქანა. მერაბიც ცნობდა მათ. ხშირად უთქვამს: "მთელი დღე აქ დგანან, მოშივლებოდათ" და საჭმელი გაუგზავნიან მოთვალთვალებისთვის.

1977 წლის 7 აპრილს მერაბ კოსტავა ზვიად გამსახურდიასთან ერთად დააპატიმრეს. მერაბს 3 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. საბაბო ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა, ჟურნალ "ოქროს საწმისის" გამოცემა იყო. "ჩვევად გვქონდა, მე და მერაბი დილით ეზოში ჩამოვსხდებოდით. ერთ დღესაც გამოვიდით და მერაბი არ დამხვედა. მისი აიფინსკენ გავიხადე და შევინახე, ვიღაც იდგა ფარდის უკან. მისი ნათქვამი გამახსენდა, - დამიჭერენო. ეზოს ჭიშკარს გავეხედე - ორი საეჭვო უცნობი იდგა. მივხვდი, მერაბის სახლში "კაგებე" იყო შესული," - იხსენებს მერაბის დაპატიმრების შემთხვევას მისი მეგობარი.

1980 წელს ირკუტსკის ოლქში, ტაიშეტის რაიონის დაბა კვოტოკში გადაასახლეს. იქ მისი მონახულება დედამ და მეგობარმა მოახერხეს. "ეზოში ვიდევით. ისე ადევდა, უკან გაბრუნდა, ახლოს მოსვლა ვერ შეძლო. მხოლოდ რამდენიმე წუთის შემდეგ გამოვიდა და გადაგვეხვია. ავტორი. მერაბი მტკიცე კაცი იყო, მის თვალზე ცრემლი არასდროს დაამინახავს. ერთი კვირა დარჩნით კვიტოკში, მან თავისი მოგვიანებით ბოლოკი და წიწმბატი მოიტანა სუფრაზე და შემოგვიჩვენა, აქ პატარა ბოსტანი გაგაკეთე, იქ, ჩვენთან, ბოლოკი კონად მოდის, აქ კი სათითაოდ იკეთებს თავსო. გაგვეცინა, არ იცოდა, რომ ჩვენთანაც სათითაოდ მოდიოდა ბოლოკი და უბრალოდ, შეკონილი იყიდებოდა," - იხსენებს ზურაბ შაუთიძე.

გათავისუფლებამდე რამდენიმე თვე ჰქონდა დარჩენილი, როცა პროუკაცია მოუწვევს, - 5 წელი დაუბატეს, როგორც "ხულიანს" და ციმბირში ანგარსკში გაამწყვეს. მერაბ კოსტავა იცავდა არა მარტო თავის, არამედ ყველა პატიმრის ღირსებას და ზედმეტ ხუთი წელი ამის გამო მიუსაჯეს. როგორც ამბობენ, სუკ-

შიც და ციხეშიც დიდ პატივს სცემდნენ. მისი მიმტველები და კაცთმოყვარე ბუნება ერთნაირად აღფრთოვანებდა მილიციელსაც და პატიმარსაც. "პერმის საკონცენტრაციო ბანაკში ყოფნისას კარცერში ჩამაგდეს, ტრუსების ამარა, 40-გრადუსიანი ყინვაში. რკინის გისოსები მჭიდროდ მქონდა შემოჭერილი. მხოლოდ სიმაღლეში იყო დარჩენილი 10-15 სანტიმეტრი და მთელი დამე ხტუნავი გაგატარო. როცა მეორე დილით, ზედამხედველები ჩემს "გასატანად" მოვიდნენ, გაოგნებული დარჩნენ, როცა დავეუბნე: "პრივეტ, ბრატცი!"

1978 წელს მერაბ კოსტავა ამერიკის კონგრესის მიერ წარდგენილი იქნა ნობელის პრემიაზე, არადა, მაშინ მერაბის შესახებ ფართო საზოგადოებამ თითქმის არაფერი იცოდა; მასზე ინფორმაცია ძირითადად დისიდენტურ წრეებსა და სამეცობროს ჰქონდათ. ციმბირში ყოფნის დროს, 1985 წელს, თბილისში მერაბის ერთადერთმა ვაჟმა - 25 წლის ირაკლი კოსტავამ ტრავიკულად დაასრულა სიცოცხლე...

პოლიტიკური ზეწოლის გამო, ხელისუფლება იძულებული გახდა, მერაბ კოსტავა გაეთავისუფლებინა. 1987 წლის 30 აპრილს იგი 10-წლიანი პატიმრობიდან სამშობლოში დაბრუნდა. ამის შემდეგ არაერთი თანამდებობა შესთავაზეს, მაგრამ მერაბმა მუსიკის მასწავლებლობა არჩია, ბარნოვის ქუჩაზე, მუსიკალურ შვიდწლედში ასწავლიდა.

ციცილო მაღლაფერიძე ასე იხსენებს: "ახალი ჩამოსული იყო, როცა ჩემთან სახლში მოვიწვიე. იმჟამად ტრანსკავკასიური რკინიგზის გაყვანასთან დაკავშირებით დიდი ამბები იყო ატეხილი. სუფრაზე ჩემმა მეგობარმა მერაბს ჰკითხა - "ბატონო მერაბ, მეგონა, თქვენ ფიქრობთ, რომ ეს რკინიგზა არ უნდა გავიდეს". იმ წუთში რკინიგზის პრობლემა ძალიან პატარად ეჩვენა და ერთბაშად უცნაური პასუხი გასცა - "რა თქმა უნდა, არ უნდა გავიდეს, მაგრამ გავა თუ არ გავა ტრანსკავკასიური რკინიგზა, საქართველო მაინც იქნება დამოუკიდებელი ქვეყანა! ჩვენ ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ სახლს შევამზადოთ დამოუკიდებლობისთვის, საქართველოს დამოუკიდებლობა გარდაუვალია!" ამის გაგონების შემდეგ ჩემი მეგობარი შეცბა, რადგან იმ წუთში დამოუკიდებლობაზე ლაპარაკი არ ყოფილა. მერაბს საქართველოს მომავალზე ბევრი ჰქონდა ნაფიქრი; იმ წუთში არ თქვა, მაგრამ მან იცოდა, როგორ და რა გზით უნდა გაეკეთებინა ეს ყველაფერი. ამის შესახებ ჩემთვის არაერთხელ უთქვამს; რასაც ამბობდა, ძალიან მომწონდა, მაგრამ განხორციელება უტოლიურად მიმაჩნდა. მოგვიანებით ცხადი გახდა, რომ მერაბი მართალი იყო, მას ეს ყველაფერი გააზრებული ჰქონდა."

1987 წლის 26 მაისს, ჯავახიშვილის 1-ში (ახლანდელი ზანდუკელის ქუჩა), მერაბის ეზოში, საქართველოს დამოუკიდებ-

ლობის დღე აღინშნეს. "მერაბმა სიტყვით გამოსვლისას ამ დღის მნიშვნელობა ასხნა და დაკარგული დამოუკიდებლობის დაბრუნებისთვის ბრძოლაზე ისაუბრა. შემდეგ თავისი სახლის სახურავზე სამფროვანი დროშა აიტანა და დაკიდა. დაახლოებით საათნახევარში მილიციელები მოვიდნენ და მერაბს დროშის ჩამოღება მოსთხოვეს. რა თქმა უნდა, უარი მიიღეს. მერე დროშა თავად მილიციელებმა ჩამოიღეს, რაზეც მერაბმა ასეთი რამ უთხრა: "ცოტა ხანში მთელ საქართველოში, ყველა სახლის სახურავზე ეს დროშა იქნება აღმართული" - იხსენებს ციცილო მაღლაფერიძე.

მერაბ კოსტავა ზვიად გამსახურდიასთან ერთად, 1987-1990 წლებში გამართულ თითქმის ყველა საპროტესტო აქციის, გაფიცვის, შიმშილობის, მიტინგისა და დემონსტრაციის ორგანიზატორი იყო. ერთხელ დედამისისთვის უთქვამს - "დედი, არ გეწყინოს, მაგრამ ჯერ უფალი მიყვარს, მერე ზვიადი, მერე კი შენ". ზვიადს რომ დაინახავდა, თურმე აღარაფერ ასსოვდა... 9 აპრილის დამეს უშიშრად იდგა საკუთარი ხალხის გვერდით. ხალხმა მას სიყვარულით "შავლეგო" შეარქვა. 1989 წლის 9 აპრილს კოსტავა მიტინგის ორგანიზებისთვის ისევ დააპატიმრეს. 40 დღის შემდეგ გაათავისუფლეს. 9-ში დატრიალებული ტრავიკის გამო დანაღვლიანებული იყო...

ამ ტრავიკის შემდეგ, საქართველომ გეზი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნისკენ აიღო. როდესაც მერაბს ეკითხებოდნენ, თუ რა თანამდებობას დაიკავებდა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობაში, პასუხობდა: "მე სოფელში წავალ, თოსსა და ბარს ავიღებ და მიწაზე ვიმუშავებო". 1989 წლის ზაფხულში სატელევიზიო პაექრობისას განაცხადა: "თუ ერთმანეთთან ვერ გამოვინახავთ სალაპარაკო ენას, შესაძლოა დადგეს დრო განუჭვრეტელი სინდელისა, სადაც ჩვენ ერთმანეთს დაბრმავებული ვეძებდეთ და ვეძარკვებდეთ".

სიკვდილამდე 1 დღით ადრე მისი ინიციატივით საქართველოს საადგილმამულო, მოსახლეობის განსახლებისა და დახმარების ფონდი შეიქმნა, რომელიც იმავე მიზნების აღსრულებას ითვალისწინებდა, რაც მე-19 საუკუნის II ნახევარში დიდი ილიას მიერ დაარსებულმა სათავადაზნაურო ბანკმა.

1989 წლის 13 ოქტომბერს ქუთაისიდან თბილისს მომავალი მერაბ კოსტავა სოფელ ბორითთან (ხარაგაულის რაიონი) ტრავიკულად დაიღუპა. ყველამ გულწრფელად დაიტირა სიცოცხლეშივე ლეგენდადქცეული აღამიანი. სიონის საკათედრო ტაძრიდან გამოასვენეს და მთაწმინდაზე, მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაკრძალეს.

ლალი ფაცია

"კორომენკო გაცეცხლებულია! კროკურატურას და უშიშროების სამსახურს სააკაშვილზე შეტევა დააკვალა..."

უკრაინული, რუსული და ქართული მასმედია უკრაინის გენერალური პროკურატურის მიერ ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის თანაშემწის კაბინეტისა და სახლის ჩხრეკის შესახებ დეტალურ ინფორმაციას ავრცელებს. "რაც მოგივა დაგივალ, ყველა შენი თავიანთი" - დალადად ქართული სიბრძნე და სააკაშვილის ამგვარი უსიამოვნების მიზეზი ამ სომეხი დაშნაკის "პირფადართიანობა" გამოდგა. ამას წინათ სააკაშვილმა ბრიტანულ "გარდიანს" მისცა ინტერვიუ, სადაც განაცხადა, რომ უკრაინის მთავრობას არ აქვს რეფორმების ხედვა და პროკურატურის ნაწილად მოიხსენია, ხოლო უკრაინის მთავრობის წევრებს უნიჭო კორუფციონერები უწოდა.

როგორც კიველი ჟურნალისტები იუწყებიან (მათ შორის პრეზიდენტის აღმინისტრაციიდან), პროკურატურა ამ ინტერვიუს გამო საშინლად გაცეცხლებულა და პროკურატურისა და უშიშროების სამსახურისათვის სააკაშვილზე შეტევა დაუვალდა.

უკრაინის გენერალური პროკურატურამ და უშიშროების სამსახურმა ჩხრეკა ჩაატარა გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილის და ასევე საქველმოქმედო ფონდის "ოდესის კეთილდღეობისთვის" ოფისებში. აღნიშნულ ფონდს ამჟამად ხელმძღვანელობს საქართველოს ყოფილი გენერალური კონსული ნიშინაიძე. უკრაინის ხელისუფალთ აქეთ უტყუარი ინფორმაცია, რომ სააკაშვილი სწორედ

ამ ფონდს იყენებს ბიზნესმენებისგან "მსუყვე" კრთამების ასაღებად ცალკეული პრობლემების მოგვარებისთვის. ასევე, უკრაინელი სამართალდამცველები ფონდ "ოდესის კეთილდღეობისთვის" ხელმძღვანელობას ბრალად უყენებენ გადასახადებისგან თავის არიდებას 2,5 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, იყენებდნენ რა ისინი დიპლომატიურ სტატუსს.

დიპლომატიები ვენის საერთაშორისო კონვენციით არ იხდიან დღეს გადასახადს იმ ქვეყანაში, სადაც მუშაობენ. ფონდის ხელმძღვანელებმა ისარგებლეს ამ წესით და 2,5 მილიონი აშშ დოლარის გადასახადი არ გადაიხადეს, როცა შეისყიდეს დიდი რაოდენობით ბრენდული ტანსაცმელი.

პროკურატურამ სააკაშვილი პირადად გამოლანდდა "გარდიანში" გამოქვეყნებული სტატიის გამო, სააკაშვილმა ჩვეულ სომხურ-დაშნაკურ სტილში იუარა მე ეს არ მითქვამსო და ყველაფერი ჟურნალისტის ინტერპრეტაციას დააბრალდა.

ამის პასუხად კი "გარდიანის" ჟურნალისტმა კი აუღინაწერი გამოაქვეყნა, სადაც დასტურდება, თუ როგორ ეიამერალობს სააკაშვილი უკრაინის მთავრობის წევრთა მიმართ. შედეგად სააკაშვილი "მასპინძლობს" პროკურატურა-უშიშროებას თავის ოდესურ ოფისში, რაც კარგს არაფერს უქადის ამ საქართველოს პრეზიდენტად დაბრუნებაზე მეთოდებ არარაობას!

საპ. იფხ.

ანაკლიაში დასუთამების აქცია გაიმართა

ახალგაზრდებისგან შემდგარმა საინიციატივო ჯგუფმა სახელწოდებით "პოსეიდონი", ანაკლიის სანაპირო ზოლის პერიმეტრზე დასუთამების აქცია გამართა. დამონტაჟდა ოთხი ახალი ნავის ურნაც მათი და ზუგდიდის დასუთამების სამსახურის ურთიერთანამშრომლობით. დონისძიების ორგანიზატორთა თქმით, მსგავსი შინაარსის აქციებები მომავალში პერმანენტულ სახეს მიიღებს. განმარტეს, რომ რამდენიმე სანაპირო ურნის დამატებით ზოგადი ფონის შეცვლა რთულია, თუმცა დარწმუნებულები არიან, რომ ეს ქმედება პოზიტიურ გავლენას მოახდენს გარემოზე დასუთამების აქციაში ანაკლიის სკოლის მოსწავლეებიც იყვნენ ჩართული.

შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში რამდენიმე დღის წინ გაიმართა პროექტის, სახელწოდებით - "წყლის მცველები" პრეზენტაცია, რომელსაც სწორედ "პოსეიდონი" ახორციელებს. პროექტის ფარგლებში მომდევნო ერთი თვის მანძილზე 50-მდე აქტივობა დაგეგმილი.



საპ. იფხ.



# 29 მაისი... მეგრული ენის დღესასწაული აბაშიში



ამ რამდენიმე წლის წინ, 2013 წელს, ხედავდა რა მეგრული ენის გაქრობის აშკარა საფრთხეს, – სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ (თავმჯდომარე ალექსანდრე ჭაჭია, კოორდინატორი ზაურ გახარია) პრობლემის აქტუალობის და ენის გადარჩენის პრობლემატიკის მიხედვით მიზანშეწონილად მიიჩნია „მეგრული ენის დღის“ დაწესება... სწორედ ამიტომ, ამ მოძრაობის წარმომადგენელ ზურაბ კვარაცხელიას ინიციატივას ყოველწლიურად 29 მაისს (გამოჩენილი ენათმეცნიერის და მეგრული ენის უდიდესი მოამაგის მამანტი ძაძაძის დაბადების დღეს) აღნიშნულიყო ეს დღე, – მეგრული ენის გულშემატკივართა დიდი ნაწილი კმაყოფილებით შეხვდა. უკვე ოთხი წელია ეს დღე აღინიშნება სამეგრელოს ცალკეულ რაიონებში. რაც დრო გადის ის უფრო და უფრო იძენს სახალხო დღესასწაულის შინაარსს და პოპუ-

ლარულიც ხდება. როგორც ჩანს ის დღეც არაა შორს, როცა მისი აღნიშვნის არაფერი უფრო გაფართოვდება. წელს კი, მეგრული ენის გაქრობის საშიშროებით გულშემატკივარ პატრიოტებს აბაშიში უმასპინძლა. საზოგადოებრივი მოძრაობა, რომელიც მეგრული ენის შენარჩუნების თვალსაზრისით უაღრესად პრობლემური რეგიონია, მაგრამ სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს: არანაკლები პრობლემაა ამ კუთხით ფოთში, სენაკში, ხობში, მარტვილში, ზუგდიდში და თქვენ წარმოიდგინეთ ჩხორთწყუხა და წაღენჯინაშიც კი... სწორედ, ამაზე ისაუბრეს აბაშის კულტურის სახლში შეკრებილმა სტუმრებმა და ადგილობრივებმა... თავიანთი გამოსვლებში სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ წარმომადგენელმა ზურაბ კვარაცხელიამ, საზოგადოებრივი მოძრაობა „აბაშელის“ წარმომადგენელმა ვახტანგ კეკელიამ, დეკანოზმა კონსტანტინე კაჭარავამ, ენათმეცნიერმა და აკადემიკოსმა „აბაშის“ პრეზიდენტმა მამანტი ძაძაძემ, მეფე ბენედიქტემ (ბეჯითი ჯალაღონიამ), ენათმეცნიერმა ედემ იხორიამ, პოეტმა ზაად ჯალაღონიამ, ენათმეცნიერმა კუკური ფიფიამ, მწერალმა ბორის დავითიამ, აკადემიკოსმა „აბაშის“ ვიცე-პრეზიდენტმა ალექს თოდუამ, სამურხაველიძემ პოეტმა ნუგზარ შამუგიამ, პოეტმა მალხაზ გრიგოლიამ, პოეტმა ჯამბულ ბებიაძემ, გახეთ „ნოჯისურის“ რედაქტორმა და პოეტმა ვალერი

ძაძაძემ, პოეტმა გივი ძველიამ, ვახში ჟვანიამ (ლევანდარული კაკა ჟვანიას შვილიშვილი), მკვლევარმა ნუგზარ კვაშილაძემ, მკვლევარმა ბონდო მანიამ... გამომსვლელები ერთხმად აღნიშნავენ მეგრული ენის გაქრობის საფრთხეს და საკანონმდებლო გარანტიების და სტრუქტურული მექანიზმების შექმნის აუცილებლობას. ისინი დიად, საჯაროდ მოუწოდებდნენ ხელისუფლებას, რომ მას აუღო პასუხისმგებლობა მეგრული და საერთოდ კოლხურ-იბერიული ენების დაცვა-განვითარებაზე. პირუთენელად ითქვა, რომ თუ სახელმწიფოებრივ დონეზე არ იქნა გადაწყვეტილი ეს პრობლემა, თუ დროულად არ იქნა ენის დაცვა-განვითარებისათვის ყოველსომცველი პროგრამა შემუშავებული, – მაშინ, მეგრულ ენას (დანარჩენ კოლხურ-იბერიულ ენებსაც) უცილობლად გაქრობა უწყობა. ითქვა ისიც, რომ ვინაიდან ენა არის იდენტობის უმთავრესი ნიშანი, – მისი გაქრობა, მისი სიკვდილი ხალხის სიკვდილსაც ნიშნავს. მკაცრად იქნა დაგმობილი მეგრული ენის გაქრობის და მეგრული თვითმყოფადობის წაშლის მოსურნე ანტიმეგრული ძალები, რომლებიც არაა დასაშავი, რომ რეალურად არსებობენ ქართველურ საზოგადოებობაში. ღონისძიების მონაწილეებმა გადაუდებელ და საშურ საქმედ მიიჩნიეს შემოთავლიშნული პრობლემის გონიერ-

ლად, ზოგადდროულად, ზოგადსახელმწიფოებრივ კონტექსტში გადაწყვეტა... შეხვედრაზე მყოფმა პოეტებმა წაიკითხეს მეგრული ენაზე დაწერილი საკუთარი ლექსები, რომლებსაც ლაიტმოტივად გასდევდა მშობლიური ენისადმი, მშობლიური ხალხისადმი, სამშობლოსადმი მხრვალე სიყვარული... პაწია აბაშელი გოგონას – ნატალი ქვილითაისს მიერ მშვენივრად წაკითხულმა მეგრული პოეზიის შედევრმა „გემიარამ“ (ავტორი გური ოტობაია) ადფრთვანება გამოიწვია მსმენელებში. აბაშის ქალთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „თოლიგეს“ და ქორეოგრაფიულ ანსამბლ „პარიას“ მიერ მალაქროფიონალურ დონეზე წარმოდგენილი-იქნა რამდენიმე სასიმღერო და საცეკვაო ნომერი (მეგრული და ლაზური), რომელმაც დამსწრე საზოგადოების ასევე დიდი მოწონება დაიმსახურა... ბოლოს, არ შეიძლება არ აღვნიშნოთ სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ და საზოგადოებრივი მოძრაობა „აბაშელის“ ძალისხმევა ღონისძიების ორგანიზებაში... მადლიერებით უნდა აღვნიშნოთ ასევე, აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელ მამუკა კვიციანიშვილის და აბაშის კულტურის სახლის დირექტორ რევაზ მიქაძის უანგარო, მამულიშვილური თანადგომაც...  
**არბიშთი გერია**

# სააკაშვილის ლაღვის ფოთლები ლაღვთახევიში შეიკრიბნენ!

“ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” საარჩევნო სიის პირველი ათეული, რომლის პრეზენტაცია ახლახან გაიმართა, ასე გამოიყურება:

1. **დავით ბაძრაძე;**
2. **ელენე ხოშტარია;**
3. **რომან ბოციროძე;**
4. **ნიკანორ მელია;**
5. **გიორგი ტუშუაშვილი;**
6. **ოთარ კახიძე;**
7. **სალმე სამაღაშვილი;**
8. **ირაკლი აბესაძე;**
9. **სერბო პაპანაძე;**
10. **სერბო რატიანი**

გახულ თვეს ნაციონალურმა ძველი თბილისის ერთ-ერთ ისტორიულ ადგილას – ლევთახევიში მოიყარეს თავი, საზოგადოებას საარჩევნო სიის პირველი ათეული გაცენეს და პარტიის რამდენიმე ახალი წევრიც წარადგინეს.

მეორე და კონკრეტულად რომ ვთქვათ, სააკაშვილის ფოთლები ლევთახევიში შეიკრიბნენ!

ლევთახევის ლევთახევი იმდენი პქვია, რომ ძველ დროში ამ ადგილას ბევრი ლეღვის ხე ხარობდა!

ნაციონალურის საარჩევნო სიაში შეყვანილ პერსონებს კი სააკაშვილის ლეღვის ფოთლები იმდენი ეწოდებათ, რომ ცდილობენ, სააკაშვილის, ბოკერიას, ბარამიძეს, თაქთაქიშვილს, კანდელაკს თარგამაძესა და ქართველი ხალხის სისხლში გასვრილ სხვა მანიაკებს პოლიტიკურ სარცხვინელზე აფარონ, აქაოდა, მათი არაადამიანური ცოდვები და დანაშაულები “ახალი სახეების” მიღმა უნდა მიეჩქმალათ.

არადა, საინტერესოა, ვინ არიან ეს “ახალი სახეები”?

ნორმალური ქართული საზოგადოებისათვის ავადსახსენებელი, გადაგვარებული არაქართველებისა და მანქურთებისათვის კი დიდი იმედისმომცემი “ნაციონალური მოძრაობის” სიის პირველი ნომერი და მთავარი ლეღვის ფოთლი სააკაშვილის ჯიბის პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, “პოლიტიკურ პინოჩიედ” სახელდებული დავით ბაქრაძეა, რომელსაც თავისი მრავალწლიანი პოლიტიკური საქმიანობის განმავლობაში ღირებული არაფერი შეუქმნია და ქართული პოლიტიკის ისტორიაში ორი სამარცხვინო ეპიზოდით დარჩება:

2008 წლის დროს, როცა რეალური საფრთხე არსებობდა, რომ რუსული ტანკები თბილისში შემოგრიხინებულიყვნენ და როცა სააკაშვილის ხელისუფლების ნახ-

ევარზე მეტი აზერბაიჯანის საზღვრებისაკენ ჯორკიდებულებით გარბოდა, და აზერბაიჯანელ მესაზღვრეებს ტვირთის არგანხრეკისათვის 5000 აშშ დოლარს სთავაზობდა, პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძემ დედაქალაქის მოსახლეობას მოუწოდა, რუსის ჯარს ქვაბებით და დანაჩანგლით შეიარაღებული დახვდით და თქვენივე ძალებით შეეწინააღმდეგეთ!

და კიდევ, 2009 წელს, როცა ოპოზიცია თბილისში “საკენების აქცია” მართავდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსი ვასილ სანოძე ჩიტაძის ქუჩაზე მდებარე უშიშროების სამსახურის შენობის აივანიდან მშვიდობიან მომიტინგეებს ე.წ. კისტის თოფიდან ესროდა და თავზე წყლით სავსე პარკებს ამხობდა, სანოძის ეს უგვანი და უღირსი საქციელი დავით ბაქრაძემ კიდევ უფრო უგვანი და უღირსი კომენტარით “გამართლა” – მეგრე რა მოხდა, მძიმე მუშაობით გადაღლილი სანოძე, უბრალოდ, ერთობოდაო.

აი, ასეთი ბოროტი კარიკატურული არსება და პოლიტიკური არარობა გვევლინება “განახლებული ნაცმოძრაობის” საარჩევნო სიის პირველ ნომრად და მიხეილ სააკაშვილის მთავარ ლეღვის ფოთლად.

„განახლებული ნაციონალური მოძრაობის“ კიდევ ერთი “ახალი სახე” და საარჩევნო სიის მეორე ნომერია ელენე ხოშტარია – ცნობილი “ენჯლოშნიცა” (იმ რაჭველისა არ იყოს, დღემდე ვერ გავიგია, ეს არსება კაცია თუ ქალი – “ილორი”), რომელიც ძალიან დიდი ხანია, სააკაშვილის რეჟიმის ლეღვის ფოთლად მუშაობს და ჭეშმარიტი ნაცისათვის დამახასიათებელი უტიფრობით ცდილობს, „ცოცხების პარტიის მიერ 9 წლის განმავლობაში ჩადენილი უბედურებები“ გააპაროს“. მანამდე კი, ნაცებისათვის დამახასიათებელი უტიფრობით ურცხვად გვიმტკიცებდა ყველას, რომ პოლიტიკურად ნეიტრალურ არასამთავრობო ორგანიზაციას ედგა სათავეში. ამას, მარტივად თაღლითობას ეძახიან, მაგრამ ხოშტარიას თაღლითობა ნამდვილად არავის გაუკვირდება იმ ნაცმოძრაობაში, რომელიც დაარსების დღიდან მხოლოდ თვალთმაქცობასა და თაღლითობაზე აფუძნებს საკუთარ პოლიტიკურ იდეოლოგიას!

მოკლედ, ელენე ხოშტარია ისეთივე “ახალი სახეა”, როგორც, მაგალითად, ნადეჟდა უტატარი ელენე თევდორაძე, რომელსაც იმდენი ჭკუა და ნამუსი ჰყოფნის, რომ პოლიტიკაში აღარ ჩაერიოს!

ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიის მესამე ნომერს რომან გოციროძეს “ახალი სახე” თუ პქვია, მაშინ თამამად შემიძლია ახალი სახე ვუწოდო ცხონებულ ბაბუნაშვილს კონდრატე ხუბუას, რომელიც 28 წლის წინათ – 1988 წლის 20 ივლისს გარდაიცვალა!

და უმაღლესი ცხონებული ბაბუნაშვილი კონდრატე ხუბუა წამოდგება საფლავიდან, ვიდრე რომან გოციროძე ნაციონალურს “განახლებულს” და “განახლებისს”!

ნაციონალურის დრმა პოლიტიკურ და მორალურ კრიზისში რომ არ იმყოფებოდნენ, ნამდვილად არ დაარქმევდნენ “ახალი სახეს” რომან გოციროძეს, რომლის სახელსაც პირდაპირ უკავშირდება ჩვენი უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო და ბნელით მოცული მოვლენა – კუპონიზაცია, რომელმაც პირობით “მილიონერად” აქცია საქართველოს გადატაცებული მოსახლეობა!

ერთი სიტყვით, “ალ-კუბონედ” წოდებული უღვაშეცმაცუნა ცინიკოსის რომან გოციროძის “ახალი სახედ” მონათვლა და საარჩევნო საპარლამენტო სიაში შეყვანა პირდაპირ მოწმობს იმას, რომ ნაციონალური მოძრაობა ბოლომდე გაკოტრებულია და მისი პოლიტიკური ფასი კუპონიც აღარ არის!

ნაციონალური მოძრაობის საარჩევნო სიის პირველი ათეულის წევრია ყოფილი სახალხო დამცველი, სასჯელაღსრულების ყოფილი მინისტრი გიორგი ტულუშიცი, რომელსაც არაერთი ყოფილი პატიმარი, არასამთავრობო ორგანიზაცია და უფლებადამცველი ადამიანულებს იმაში, რომ ციხეში პატიმართა წამების ფაქტებს საგანგებოდ ჩქმალავდა და განწირულ მსჯავრდებულებებს, რომლებიც მას, როგორც ომბუდსმენს, საშველად მიმართავდნენ, ხელისუფლებასთან და ციხის ადმინისტრაციასთან აბუზებდა.

დაახ, გიორგი ტულუში მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის ჩვეულებრივი ლეღვის ფოთლია და როგორც მინიმუმ, პოლიტიკური და მორალური პასუხისმგებლობა ეკისრება იმ საშინელი, არაადამიანური დანაშაულების გამო, რომლებსაც სააკაშვილის დროს ქართულ ციხეებში პქონდა ადგილი!

ნაციონალურმა “ახალი სახედ” წარმოგვიდგინეს და საარჩევნო სიაში მეექვსე ნომრად ჩაწერეს ზურაბ ადგიშვილის ყოფილი მოადგილე, აშკარად უტიფარი და ურცხვი არსება ოთარ კახიძე, რომელმაც თავისი ბოსის საქართველოდან გაქცევის შემდეგ ადვოკატობას მიჰყო ხელი და სხ-

ვადახევა სასამართლო პროცესზე ხან მიხეილ სააკაშვილის ინტერესებს იცავს, ხან – ვანო მერაბიშვილის და ხან – ზურაბ ადგიშვილის!

საქართველოს 9-წლიანი უბედურების ერთ-ერთ შემოქმედთან და დანაშაულებრივი სქემების მთავარ მხლართავთან ზურაბ ადგიშვილთან ვისაც თუნდაც ერთი დღე უშუშავია, ის არათუ პოლიტიკას არ უნდა გააკარო, არამედ სპირტიან კოლბაში უნდა ჩაამწვდიო, რომ საზოგადოება არ დაწამლოს და არ დაავიროს!

ოთარ კახიძემ, რომელიც ადგიშვილის უსათვალლო ვარიანტია, საარჩევნო სიის პრეზენტაციაზე განაცხადა, ჩვენ ნაციონალური მოძრაობის წინა ვარიანტზე უკეთესი ვარიანტი ვართო!

ამაზე ცნობილი ქართველი პოეტის ვახტანგ ჯავახიძის სტრიქონები გამახსენდა:

**ბევრი გადიდგვარიანდა, მე ვერ გადიდგვარიანდი, მე ვარ ჩემი პაპისპაპის უარესი ვარიანტი.**

ნაციონალური მოძრაობა ბაქრაძეებით, ხოშტარიებით, გოციროძეებითა თუ კახიძეებით ვერ “გადიდგვარიანდება” და ბოკერიების, გაბაშვილების, ბარამიძეებისა და თარგამაძეების “უკეთესი ვარიანტი” ვერაფრით გახდება!

საერთოდ, რასაც ჩვენ ვხედავთ, ეს არის არა “განახლებული”, არამედ “განაგლებული” ნაციონალური მოძრაობა!

დაახ, ნამდვილად დიდი “ნაგლობაა” საჭირო, რომ პოლიტიკურმა ძალამ, რომელმაც საქართველოს ტერიტორიები დააკარგვინა, ახალგაზრდა ბიჭები ქუჩებში დახვრიტა, ქართველი მამაკაცები ციხეებში გააუპატიურა და კიდევ უამრავი დანაშაული ჩაიდინა, თავი “განახლებულ პარტიად” გამოაცხადოს და კვლავ ხელისუფლებაში მოსვლის პრეტენზია გამოთქვას!

ნაციონალური მოძრაობა რომ დღეს ასე “განახლებულია”, ეს “ქართული ოცნების” ბრალიცაა, რადგან ამ ხელისუფლებამ პოლიტიკური მიცვალებული გააცოცხლა!

თუმცა, ლევთახევიში შეკრებილი სააკაშვილის ლეღვის ფოთლები საწადელს მაინც ვერ ეწვიან, რადგან ქართველი ხალხი “ახალი” ნაციონალურს საშუალებას არ მისცემს, საქართველო ძველ ჯოჯოხეთში დააბრუნონ!

**ჯაბა ხუბუა**







ძალი შინ არ მარბოლაო, უკრაინას



უკრაინაში, მართალია ცოტა გვიან, მაგრამ მიხეილი მაინც "გაიშიფრა".

აი, რას წერს მის შესახებ უკრაინული პრესა:

"უკრაინული პოლიტიკოსების ტრაგედია იმაშია, რომ ყველანი ორმაგ თამაშს ეწევიან, ჩვენი მოქალაქეები კი ამ აისბერგის მხოლოდ მეთაურ ნაწილს ხედავენ. ხალხს არ აქვს იმის დრო და შესაძლებლობა, რომ პოლიტიკოსთა სიცრუეში გაერკვეს", - ამბობს უკრაინის პარლამენტის წევრი ანტონ გერაშენკო გაზეთ "აიუ"-ის ("არგუმენტი ი ფაქტი", უკრაინა) ჟურნალისტ ალისა სვეტლაკოვასთან საუბარში.

კორესპონდენტის შეკითხვაზე, "სწორია თუ არა კრიტიკა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგაა მიმართული - მას ხომ ხალხში რეფორმატორისა და კორუფციასთან მებრძოლის იმიჯი აქვს შექმნილი?", ანტონ გერაშენკო ასე პასუხობს: "მე მზად ვიქნები მიხეილ სააკაშვილის გუნდში გავერთიანდეთ, მან რომ ნორმალურად განმომარტოს, როგორ ქვეყანაში ვიცხოვრებ მისი რეფორმების განხორციელების შემდეგ. ჩვენთვის ხომ ცნობილია, საიდან მოვიდა უკრაინაში მიხეილ სააკაშვილი? რეფორმირებული საქართველოდან, სადაც მას დაბრუნება და ცხოვრება აღარ შეუძლია. ესე იგი, რაღაცასთან გვაქვს საქმე, ხომ?

მე გეტყვით: მიხეილ სააკაშვილი სამართალდამცავ ორგანოებს ოპოზიციის წინააღმდეგ იყენებდა და მათ ისე უსწორდებოდა... მან დაარბია და დახურა ოპოზიციური ტელეკომპანია "იმედი", რომელიც მის ხელისუფლებას აკრიტიკებდა...

უკრაინაში მიხეილ სააკაშვილს ასეთი მეთოდები არ გაუვა, იგი ასეთი გზით ჩვენთან ხელისუფლებაში ვერ მოვა. მისში ერთი წელი უნდა გავიდეს ოდესის ოლქის გუბერნატორის პოსტზე მისი დანიშნვიდან.

მან ყველა თანამდებობაზე "თავისი კაცები" და "თავისი ქალები" დანიშნა:

ოლქის პოლიციის უფროსი გიორგი ლორთქიფანიძე,

ოლქის პროკურორი დავით საყვარელიძე, საბაჟოს უფროსი იულია მარუშევსკაია და სხვები...

მოკლედ, ყველა მიხიანი იყო. ბევრი ოდესველი ელოდა, რომ ასეთი ფართო უფლებების პირობებში გუბერნატორი მიხეილ სააკაშვილი შეძლებდა ოლქში სერიოზული გარდაქმნების განხორციელებას.

დავით საყვარელიძის ამასწინანდელი გადადგომა, საბაჟოს შემოწმებები და უკრაინის უშიშროების სამსახურის დაინტერესება ე.წ. "ქართული გუნდის" საქმეებით დაკავშირებული იმასთან, რომ მიხეილ სააკაშვილმა პრეზიდენტ პეტრო პოროშენკოს მხრიდან ნდობა დაკარგა, იგი "ჩასარტყხადა" განწირული.

და რატომ დაკარგა ნდობა? იმიტომ, რომ პეტრო პოროშენკოს იმედი ჰქონდა პრემიერ-მინისტრ არსენ იაცენიუკთან ბრძოლაში მიხეილ სააკაშვილს ტარანის როლში გამოიყენებდა, მაგრამ ამბიციურმა საქართველოს ექსპრეზიდენტმა არ მოსურვა პრეზიდენტის ხელში იარაღი ყოფილიყო.

მიხეილ სააკაშვილი დაინტერესებულია იმით, რომ მას თავისი პოლიტიკური ძალა ჰყავდეს - ისეთი, რომელიც პირადად მას დაემორჩილებოდა და რომელიც ვადამდელ არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას.

ვფიქრობ, ახლა არაფრისგამკეთებელი მიხეილ სააკაშვილი თვითონ ეძებს საბაბს, რომ თავისი პოსტიდან ხმაურით წავიდეს. იგი ოცნებობს, რომ თვით პრეზიდენტმა ან პრემიერ-მინისტრმა გაათავისუფლოს თანამდებობიდან, მაგრამ არც ერთი და არც მეორე ამაზე არ მიდის - მათ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისაგან „წამებულის შარავანდედიანი“ პოლიტიკოსის შექმნა არ სურთ.

საქართველოს ხელისუფლება მიხეილ სააკაშვილის ჩახვლას არ ელოდება. "იგი თუ საქართველოში ჩამოვა,

მართლმსაჯულების წინაშე წარსდება", - განაცხადა პარლამენტის ვიცე-სპიკერ მამანანა კობახიძემ, ხოლო დეპუტატმა თამაზ მეჭიაურმა დააკონურად აღნიშნა - "მას, ალბათ, დაპატიმრება არ ახცდება".

უკრაინაში კი ოდესის ოლქის გუბერნატორის გუნდის შანსები "ვერხონა რადაში" გახვლის თაობაზე საკმაოდ მაღალია, მით უმეტეს, რომ მიხოს ადრეც აქვს გაცხადებული ამის თაობაზე:

"მე და ჩემი გუნდი უარს არ ვამბობთ იმ მისიაზე, რაც უკრაინაში გვაქვს - პერსპექტივაში უკრაინის განვითარება საქართველოს განვითარებასაც ნიშნავს. ჩვენი პოლიტიკური პარტია ყველანაირ არჩევნებში გაიმარჯვებს. უკრაინაში ამ თავალაზრისით ეჭვი არავის არ ეპარება - არც ჩვენს მტრებს და არც მეგობრებს", - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

კიეველი პოლიტოლოგების პროგნოზით, თუ უკრაინაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები ჩატარდება, ქართველი "რეფორმატორი" ვერხონა რადაში ცალკე გუნდის სახით ვერ გავა.

აქედან გამომდინარე, მიხოს გუნდი დღევანდელი მერის ანდრეი სადოვიოს გუნდთან იქნება კოალიციური. აშკარაა, რომ მიხოს პიროვნულად საარჩევნო სიაში არ იქნება - იგი ვერ აკმაყოფილებს უკრაინის კანონმდებლობის მოთხოვნებს ბინადრობის ცენზის თაობაზე (ბოლო ხუთი წელი უწყვეტად უკრაინაში არ უცხოვრობდა). გარდა ამისა, მას იურიდიულად თავისი გუნდი არ ჰყავს, ხმადაღალი განცხადებებით კი შორს ვერ წავა.

"გამორიცხული არაა, რომ მიხეილ სააკაშვილი თავის პროექტს აღარ შექმნის ანუ პოლიტიკურ პარტიას არ ჩამოაყალიბებს, მის თანამოზრებს კი "სამოპოზიციონის"

მიხეილ სააკაშვილი აღიარებს, რომ სამშობლო ძალიან მოეწონება: "მე ვაღიქვითებ საქართველოს. მე ხომ ქართველი ვარ. მე ხომ თანამედროვე ქართული სახელმწიფო ჩემს მეგობრებთან ერთად შექმენი".

მიხეილ სააკაშვილი გუბერნატორად დანიშნვის დროს აცხადებდა, რომ ოლქის ტერიტორიაზე არსებულ გზას გაარემონტებდა, მაგრამ არაფერი გაკეთებულა. გუბერნატორი აცხადებს, რომ ჩვეულებრივ მოქალაქეებთან ერთად "მარშრუტით" და ავტობუსით მგზავრობს, მაგრამ ამის დამადასტურებელი ბოლო ვიდეო ორი თვის წინ არის დადებული.

ტელეჟურნალისტებმა სასახლვრო პუნქტი "კუნურგანი" მონახულეს, სადაც ჯერ კიდევ არილის ბოლოს საბაჟო უნდა აშენებულიყო.

არაფერი გაკეთებულა, თუმცა რეფორმატორები ვერაწმუნებენ, რომ მათ მუშაობაში ხელს კიეველი პოლიტიკოსები უშლიან:

"ცენტრალური ხელისუფლება მშენებლობისთვის ფულს აღარ გვაძლევს" (ვიდეო სიუჟეტში საუბრობს იულია მარუშევსკაია - ოდესის საბაჟოს ახალ-გაზრდა ხელმძღვანელი, მაგრამ ამ სფეროში სრულიად არაკომპეტენტური პიროვნება. მას მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკურ მეგობარ ქალს ეძახიან).

მიხეილ სააკაშვილს აღარ ახსოვს, ბოლოს რდლის იყო შეგებულებაში. იგი თავის ოჯახზე საუბრობს, შეილებაზე...

"ჩემი ცოლ-შვილი საფრთხეს არ შეუშინდა და საქართველოში დარჩნენ. მათი იქ ყოფნა ჩემს იქ ყოფნასაც ნიშნავს".

მიხეილ სააკაშვილი ნოსტალგიურად იხსენებს თავის კახურ ვენახს, ბათუმის მყუდრო ქუჩებს, თბილისურ ხმაურს... მიუხედავად იმისა, რომ მას საქართველოს ხელისუფლება პატიმრობით ემუქრება, ექსპრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ მისთვის სახლის კარი მაღე გაიღება: "მე მინდა ამას ყოველგვარი ექსცესების გარეშე მივაღწიო - მხოლოდ არჩევნების, დემოკრატიული პროცედურების მეშვეობით. ვფიქრობ, ეს ყველაფერი შემოდგომაზე მოხდება".

ვფიქრობ ნაცნობი სურათია, ახალი მსოფლიო ის არის, რომ მიხოს ოცნება პირდაპირ ეთერში დაუწყია.

არცთუ დიდი ხნის წინ მედიაში

გავრცელდა ინფორმაცია ეკა ზღუდაძის შესახებ - უკრაინის შს მინისტრის პირველი მოადგილე საფრანგეთში ქმართან მიემგზავრებოდა, რადგან ფეხმძიმედ არის და ორ თვეში უნდა იმშობიროს.

ბორისპოლში საბაჟოზე ის დააკავეს ფულით სავსე ჩემოდნით, რომელშიც არც მეტი, არც ნაკლები 4 მილიონი აშშ დოლარი იყო.

შესაბამისი ორგანოების კითხვაზე, მაღამ ზღუდაძემ დიმილით უპასუხა, რომ ეს მისი პირადი ნივთებია, ფული კი პარიზში სამედიცინო პროცესის ორგანიზებისთვის სჭირდებოდა.

ზახარჩენკოს ინფორმაციით, ზღუდაძემ ბორისპოლში 4 საათი გაატარა, რა დროსაც თავის ხელმძღვანელს, მინისტრ არსენ ავაკოვს ურეკავდა, რომელმაც ყოფილი მინისტრის თქმით, თავისი გავლენა გამოიყენა იმისთვის, რომ ეკა ზღუდაძე "ლაგვარდოვან სანაპიროზე გაეცილებინა".

ზახარჩენკო წერს, რომ უკრაინის უსაფრთხოების სამსახურის ხელმძღვანელს ვახილი გრიცაკს მოახსენეს, რომ 10 (სხვა მონაცემებით 14) მილიონი დოლარი ეკა ზღუდაძესა და ავაკოვს სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირებისთვის გადასცეს, მაგრამ, მისი თქმით, შს-ის ხელმძღვანელობამ ნაცვლად იმისა, რომ თანხა დანიშნულებისამებრ გამოეყენებინათ, მიითვისეს. თუმცა არავინ დასჯილა, დიდი მიხედვით არ უნდა ვისი ფრთის ქვეშ გრძნობენ თავს დაცულად. უკრაინაში კორუპტიული ნაცვები. დიმილის მომგვრელია უკრაინის პოლიციის ბუდით შექმნილი ბილია დეკანოიძის "მოთქმა" - "მე ვგრძობ, მილიციის რეგენში და იმ თანამშრომლების რეგენში, რომლებმაც არ თანარეს ხელახალი სერტიფიცირება. თითქმის მათ, ყველამ სასამართლოს მიმართა. მიმდინარეობს დახურული სხდომები და მე ძალიან მეშინია, რომ ძველი სასამართლო სისტემა გააკეთებს ყველაფერს იმისთვის, რომ ჩაშალოს პოლიციის რეფორმები", - ხატია დეკანოიძის თქმით უკვე არის სასამართლოს ორი გადაწყვეტილება შს-ს თანამშრომლების სამუშაოზე აღდგენისა, რომლებსაც არ გაუვლიათ ხელახალი სერტიფიცირება.

ამავე დროს დეკანოიძე არ გამორიცხავს, რომ ამგვარ გადაწყვეტილებებს კვლავ მიიღებენ.

როგორც ხატია დეკანოიძე ამბობს: აღძვირებული, რომლებიც დაკავებული იყვნენ თაღლითობით, ბანდიტიზმით, მათ არ შეუძლიათ იპოვონ საკუთარი თავი მილიციის სისტემის გარეთ, ისინი ისწრაფვიან დაბრუნდნენ სამსახურში, რათა დააკადენ იგივე საქმით უკვე აღდგენილი პოლიციაში" - მიხოს ყოფილი რძალი, ჩვენი ქვეყნის ყოფილი განათლების მინისტრი, აშკარად უკმაყოფილოა, არც უკრაინელები არიან კმაყოფილი ჩვენი "პოლიტიმიგრანტებით".

ჩამოვრჩით ცხოვრებას, რადგან არ ვიცით რა სახელი ქვია ერთ ქვეყანაში ბრალდებულ-ძებნილი პირების სხვა ქვეყანაში მაღალ თანამდებობებზე დანიშნა.

ძუ ნაცვებს ჩვენი ქვეყნის შერცხვენაში არც ხვადები ჩამორჩებიან. ბიოგრაფიებიც შესაფერისი აქვთ...

გიორგი ლორთქიფანიძე - უკრაინის შს ოდესის საოლქო სამმართველოს უფროსი. მიხეილ სააკაშვილის ძველი მეგობარი. მისი პრეზიდენტობის დროს იყო საქართველოს შს მინისტრის მოადგილე. ოდესის ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსის წინააღმდეგ სისხლის სამართლის რამდენიმე საქმეა აღძრული.

დავით საყვარელიძე - უკრაინის გენერალური პროკურორის მოადგილე, იმავე დროს ოდესის ოლქის პროკურორი.

ზურაბ ადგიშვილი - საქართველოს იუსტიციის ექს-მინისტრი და მიხეილ სააკაშვილის უახლოესი თანამებრძოლი, რომელიც ექვანშია ჩადენილი დანაშაულობების გამო.

იმ სქემების წყალობით, რომელიც ზურაბ ადგიშვილმა და დავით საყვარელიძემ შეადგინეს, მიხეილ სააკაშვილის სანქციით, კორუფცია საქართველოში სრულიად ახალ დონეზე აიყვანა.

დღეისათვის ზურაბ ადგიშვილი საქართველოში დაუსწრებლად ბრალდებული და მას ხანგრძლივი ვადით პატიმრობა ემუქრება.

გიზო უგლავა - უკრაინის ეროვნული ანტიკორუფციული ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე არის დანიშნული, მანამდე კი, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს, საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გახლდათ.

გიზო უგლავა საქართველოში იძებნება, არ გააკვირდეთ - სწორედ კორუფციისა და კრიმინალური დანაშაულისა გამო.

ალექსანდრე კვიტაშვილი - საქართველოს ჯანდაცვის მინისტრი მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ქაში. ალექსანდრე იგივე თანამდებობაზე იჯდა უკრაინის მთავრობაშიც - ჯანდაცვის მინისტრი იყო. აღსანიშნავია, რომ ალექსანდრე კვიტაშვილს პროფილური (სამედიცინო) განათლება არ აქვს!

გიორგი ვრიგალაშვილი - უკრაინის ეროვნული პოლიციის შიდა უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსი, მანამდე კი, მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, იგი საქართველოს საპარტულო პოლიციის ხელმძღვანელი. (საქართველოში ბრალდებული)

გიორგი ცხაკაია - ოდესის ოლქის გუბერნატორის მრჩეველი, მუშაობდა საქართველოს შემოსავლების უწყების ხელმძღვანელად.

სწორედ გიორგი ცხაკაია დგას ოდესის საბაჟოს უფროსის, არაპროფესიონალ იულია მარუშევსკაიას ზურგს უკან.

გიორგი ცხაკაია ფორმალურად საბაჟოს უფროსის მოადგილეა, მაგრამ რეალურად ყველა გადაწყვეტილებას ის იღებს. არსებობს იმის სერიოზული ეჭვი, რომ ამერიკელებმა სპეციალურად ჩაუგდეს ხელში სააკაშვილს ოდესის მაღალშემოსავლიანი საბაჟო, საიდან აღებული დიდძალი შავი ფული ამერიკის ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის დიკ ჩეინის, ამერიკელი "ქორი" კონგრესმენების ჯონ მაკკეინის, სტივ რასელის და სხვათა ჯიბეებში მიედინება;

ლევან დუნიძე - მუშაობს ბიზნეს-ანალიტიკოსად და სავარყო კავშირების კორდინატორად ორგანიზაცია "ინციტივები უკეთესი უკრაინისათვის". ადრე კი საქართველოში კი უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე იყო;

სერგო ქავთარაძე - ტრენინგებისა და ელექტრონული შესყიდვების კორდინატორი ოდესის ოლქში. მუშაობდა თბილისის განვითარების ფონდის ხელმძღვანელად. იძებნება ქართველი სამართალდამცველების მიერ, საბიუჯეტო თანხების განიავეების გამო;

მერიკო კოკაია - ოდესის გუბერნატორის თანაშემწე მასმედიასთან ურთიერთობის საკითხებში;

დავით ჩანტლაძე - იგი საქართველოს გარემოს დაცვის მინისტრად მუშაობდა, დღეს კი ოდესის ოლქის გუბერნატორის ადმინისტრაციაში მუშაობს.

თემურ ნიშინაძე - ოდესის ოლქის გუბერნატორის მრჩეველი, მანამდე კი ოდესაში საქართველოს გენერალურ კონსულად მუშაობდა. ამჟამად მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული.

(ახლახან ტელევიზორცე მოიცვა კადრებმა, სადაც ჩანს რომ უკრაინის პროკურატურამ ჩხრეკა ჩაატარა სააკაშვილის მრჩეველის ნიშინაძის სამუშაო კაბინეტში, რომელიც ექვმბიანილია ჯგუფურ ფინანსურ მაქინაციაში - "ილორო". ინფორმაცია ამის თაობაზე იხილეთ გაზეთის ამ ნომრის მე-6 და მე-7 გვერდებზე.

უკრაინაში კიდევ ბევრი ნაცნობი თუ უცნობი საქართველოდან პორტირებული მიხოს "თანამებრძოლი" არცხვენს ჩვენს ქვეყანას.

სროვის ნაწილს ვეროპაში და აშშ-ში აქვთ ფრთები გაშლილი. ცა ქუდად არ მიანიათ და დედამიწა ქალამნად.

კოლოსალური თანხის ფლობის მიუხედავად "რადაც დათარსულა" ჩანან და აშშ-ის გამოლოცვისთვის ხშირად სტუმრობენ.

"დნეპრდალეულები", ვფიქრობ, ხვდებიან, რომ აღარც აქ ჩამოვსვლვებით და უკრაინიდანაც მაღე გააბუნძულებენ სად გადააპორტირებენ "უფროსი ძმები" და რა ნათეს და მღუღარეს დალევენ მომავალი გვიხვენებს.

მანამდე კი არჩევივბა მიხოს უკანასკნელი იმედი, რომელიც, რაღა თქმა უნდა, დიდი იმედგაცრუებით დაუსრულდება.

ქეთევან ზარნაძე, "საერთო გაზეთი"

გაზეთი „ილორო“ იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი პოეტის ალექო შენგელიას მეუღლე და გაზეთი „ილორის“ მენეჯერის ზურაბ ქობალიას სიდედრი ნანა ბრიბოლის ბარბალაია და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს და ახლობლებს



ჯარისკაცის მამა – რეალური ამბავი, რომელიც მიიღო მსოფლიო აზრი



ერთი წელი გავიდა მსოფლიო კინოს პატრიარქის რეზო ჩხეიძის ბარბაც-გალავიდან. გაზაფხულს "ილორი" ამთავრებს წარმართების ციკლის ბოლო ნაწილს, რომელიც ეძღვნება ცნობილ ქართველ კინორეჟისორს.

"ჯარისკაცის მამა" 1964 წელს უკვე გადაღებულია. ამ დროისთვის 36 წლის რეზო ჩხეიძეს, თენგიზ აბულაძესთან ერთად, შექმნილი აქვს ორი საერთო დოკუმენტური ფილმი და მხატვრული სურათი "მადანას ლურჯა", შემდეგ დამოუკიდებლად მუშაობს ფილმებზე: "ჩვენი ეზო", "მაია წყნეთელი", "განძი", "ზღვის ბილიკი". ამ უკანასკნელი ფილმის გადაღებებზე კინოსტუდიაში მყოფ რეჟისორთან სულიერ კონტაქტს მიაქვს სცენარი და სთხოვს, იმ დღესვე წაიკითხოს, როგორც კი დროს გამონახავს...

რეზო ჩხეიძეს დასტურებული ბავშვობა არ ჰქონია. მამა 1937 წლის რეპრესიების მსხვერპლი გახდა, ქუთაისში სამი შვილით დარჩენილი დედა მალე სახლიდანაც გამოასახლეს. თბილისში ნათესავმა შეიფარა და ორი თოხიდან ერთი ჩხეიძეებს დაუთმო. მამის ბიბლიოთეკის გაყიდვა მოუხდა, რომ ოცნება აესრულებინა და "ვეიკის" (სააკადემიო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტი) სტუდენტი გამხდარიყო. სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი ცხოვრებისას არც შიმშილი იყო უცხო.

ერთხელად, როცა მას და მის მეგობრებს მეორე დღე იყო, არაფერი ექცა, მათ ოთახში შესულმა მეზობელმა იდეა მიაწოდა, გაზაფხული დაედა, პალტოები ჩავაბაროთ და საჭმელი ვიყიდოთ. მიუხედავად იმისა, რომ გაზაფხულის ნიშნები არსად ჩანდა, ხუთი სტუდენტი მაინც წავიდნენ და ლომბარდში პალტოების ჩასაბარებლად. რიგში მდგომი მოხუცები ეხვეწებოდნენ – ეს არ გააკეთოთ, ზამთარი ჯერ კიდევ წინააო, მაგრამ უკან როგორ დაიხვედნენ?! ლომბარდიდან გამოვიდნენ და თოვლიც წამოვიდა. პალტოები აღარ ჰქონდათ, სამაგიეროდ, ხელთ ფული ეკავათ და როგორც ნამდვილი ქართველები, რესტორანში წავიდნენ.

სულიერ კონტაქტს მოსკოვიდან იცნობდა, როცა საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტში სწავლობდნენ. სტუდენტები რომ იკრებოდნენ და ორიოდ კაპიკი ჩაუვარდებოდათ ხელში, ჩარლი ჩაპლინის სადღეგრძელოს ყოველთვის პირველს და ფეხზე ადგომით სვამდნენ... იმ დღეს, როცა სულიერ კონტაქტს თავისი

ახალი სცენარი რეზო ჩხეიძეს დაუტოვა, თავად ბათუმში გაემგზავრა. კინოსტუდიიდან გამოსული რეჟისორი ტრამვაიში ჩაჯდა და მეგობრის დატოვებული ფურცლები გადაათვალიერა. სულ ხუთი-ექვსი ფურცელი იყო, სათაურით "ჯარისკაცის მამა". "პატარა სცენარი იყო, მაგრამ ამ ხუთ ფურცელში აბსოლუტურად ყველაფერი გასაგებად ეწერა. ხასიათი, იდეა, გარემო – ყველაფერი იგრძნობოდა. წაკითხვისთანავე მივხვდი, რომ ეს იყო ბრწყინვალე მასალა. იმ საღამოსვე ბათუმში დავრეკე და სულიერ შევაქე. ვუთხარი, რომ მზად ვიყავი, ამ სცენარზე ფილმი შემიქმნა..." – იგონებდა მოგვიანებით რეჟისორი.

რეზო ჩხეიძე "ზღვის ბილიკში" მთავარ როლში სერგო ზაქარიაძეს იღებდა. ერთ დღეს მსახიობს გრიმს უკეთებდნენ, როცა მას თავზე რეზო ჩხეიძე წამოადგა. როგორც ჩანს, გრიმს ისე არ უკეთებდნენ, როგორც თავად თვლიდა საჭიროდ, რადგან გრიმირ ქალს შენიშვნებს აძლევდა და რეზო ჩხეიძეს ყურადღებას არ აქცევდა. ის კი ცდილობდა, მსახიობს გამოლაპარაკებოდა, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს პირდაპირ სულიერ კონტაქტის სცენარის თხრობა დაიწყო და ცოტა ხანში მიხვდა, რომ ნელ-ნელა სერგოს ყურადღებას იპყრობდა. თხრობა რომ დაასრულა, მსახიობმა აღტაცებით თქვა: "რა კარგი რამეა!" და ატრიადა. რეჟისორიც აჰყვა... იქვე გადაწვიდა, უახლოეს მომავალში ფილმი უნდა გადაეღო.

სცენარზე მუშაობას ნახევარი წელი დასჭირდა. კინოსტუდიაში ითხოვდნენ, მთავარ როლზე სპარტაკ ბაღაშვილი დაეკავებინა, თუმცა თავად რეჟისორი მოხუცი გიორგი მახარაშვილის როლზე სერგო ზაქარიაძეს ხელდასმული და სურდა, სწორედ მისთვის მიენდო ამ სახის შექმნა.

ფილმისთვის ბრძოლა არ იყო მარტივი. როგორც წესი, იმხანად აქ თუ მოსკოვში ხან სცენარს ებრძოდნენ, ხან რომელიმე მსახიობი არ მოსწონდათ და ხანაც რეჟისორებს იწუნებდნენ. არც "ჯარისკაცის მამა" აღმოჩნდა გამონაკლისი.

"ჯარისკაცის მამა" საბჭოთა გმირების გან გამორჩეული იყო – შვილს დაეძებდა და "ზა როდინუს" არ ყვიროდა. კინოსტუდიაში სწორედ ამას ვერ მიხვდნენ, ჟანრი ვერ გაიგეს. როდესაც, წესისამებრ, სცენარი მოსკოვში გაიზარდა, მის შინაარსს მღვდელ ჩანსკვნიცი და თქვეს, რომ ამ ფილმს დიდი წარმატება ექნებოდა. ერთი სიტყვით, დიდი ომები გამოვიარე იმისთვის, რომ ფილმი გადაეღო და მასში ბატონ სერგოს ეთაბოთა. სხვათა შორის, დადებითი როლი ითამაშა ელვარდ შევარდნაძემ, რომელიც მაშინ მცხეთის რაიონული კომიტეტის მდივანი იყო.

"ერთ-ერთ კრებაზე ჩემი ფილმის გადაღება-არგადლების საკითხი წამოიჭრა. ერთი ადამიანი გამოვიდა, რომლის ვინაობის დასახელებსაც თავს შევიკავებ და თქვა, მოსკოვის კულტურის სამინისტროში სცენარი არ მოეწონათ, მაგრამ, რადგან რეზო ჩხეიძეს ასე ძალიან უნდა, უარის თქმა გვერიდებოდა. მაშინვე გავივი და მოსკოვში დავრეკე. აღმოჩნდა, რომ ეს კაცი საერთოდ არ მისულა სამინისტროში და კრებაზე ტყუილი თქვა. ნერვები ძალიან მომეშალა და იმ ადამიანს სილა გავაწანი.

ეს ჩემს ცხოვრებაში ერთადერთხელ მოხდა. არც სკოლაში, არც მოზრდილობაში, როგორც აღმოვაჩინე უნდა ვყოფილიყავი, ხელით არავის შევხებოვარ," – გულწრფელად აღიარა რეჟისორმა.

ყველაფერი რომ დალაგდა, ფილმის გადაღებას რამდენიმე თვე დასჭირდა. სერგო ზაქარიაძის, ქეთევან ბოჭორიშვილისა და რამდენიმე ქართველი მსახიობის გარდა, "ჯარისკაცის მამაში" ბევრი რუსი მსახიობი მონაწილეობს. შვილი, რომელზეც მთელი სცენარია აწყობილი, ფილმის ბოლოს ჩანს და მხოლოდ ორიოდ სიტყვას ამბობს. ამ როლისთვის სპეციალურად ეძებდნენ ქართული იერის შავგვრემან ახალგაზრდას. როლი ერგო გიორგი კობახიძეს, რომელიც სულ რამდენიმე წუთით ჩანს.

დასრულებული ფილმი მოსკოვში 31 დეკემბერს ჩაიტანეს. ფილმის წარმოდგენის შემდეგ შემოქმედებით ჯგუფს ახალი წლის შეხვედრა იქაურ რესტორან "არაგვში" ჰქონდა დაგეგმილი. იმ დღეს რეკლამა, რომელიც სურათს იბარებდა, არ მუშაობდა და "ჯარისკაცის მამა" მაშინდელმა კულტურის მინისტრმა მეუღლესთან ერთად ნახა. ბოლოს კი გამოაცხადა: "ამხანაგო ჩხეიძე, ამ ფილმს საბჭოთა ხალხი არ ნახავს!" და იქვე ახსნა მიზეზიც: "...თქვენი გმირი, მახარაშვილი, საბჭოთა ოფიცერს ხელს არტყამს. ეს არის წითელი არმიის წესდების დარღვევა. ჩვენ უფლება არ გვაქვს, კინემატოგრაფიის საშუალებით ამას აგიტაცია გავუწიოთ. ასე რომ, ამ ფილმს არ მიეცემა რეკომენდაცია, რომ ფართო მასშტაბით ნახონ!"

ახეთი შეფასების შემდეგ ნირწამსდარი ხელოვანები რესტორნის მაგიერ სასტუმროში დაბრუნდნენ, აღიარეს ჰქონდა სახეიშო განწყობა. რამდენიმე დღის შემდეგ ფილმი ვინ აღარ ნახა, გენერლებმა, პოლკოვნიკებმა, მათ შორის იყო ლეონიდ ბრეჟნევიც, თუმცა, ამ და სხვა ეპიზოდებთან დაკავშირებით, "ჯარისკაცის მამა" არავის დაუწუნებია და საკავშირო კინოკრანებზე მისი პრემიერის დღეც დაინიშნა...

დაბოლოს, შეიძლება, ბევრმა არ იცის მთავარი, რომ "ჯარისკაცის მამის" სცენარის ერთ-ერთი მოტივი ბიოგრაფიულია. სულიერ კონტაქტი 18 წლის იყო, როცა ოჯახს არაფერი გაუმიხდა და მეორე მსოფლიო ომში მოხალისედა წავიდა. მტერთან მორიგი შეტაკებისას მიძიდ დაიჭრა და პოსტიტალში მოათავსეს. მამამისმა შვილის მოძებნა გადაწყვიტა და სანამ იპოვიდა, მიძიდ და რთული გზა გაიარა.

წლების განმავლობაში ფილმს არც აქტუალობა დაუკარგავს და არც მხატვრული ზემოქმედების ძალა, არც ტრავმატიკული სიუჟეტს დაუტოვებია ვინმე გულგრილი. "ჯარისკაცის მამაში" სახელი კერანებზე გამოსვლისთანავე გაითქვა, ამ შავ-თეთრი ფილმის გაფრთხილება კი რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთმა ამერიკულმა კომპანიამ გადაწყვიტა. ამ თემაზე დიდხანს ექირობდა რეჟისორი, ბოლოს უფლება დართო, ფილმში ფერები "შეეცანათ". რეჟისორთან უშუალოდ და ხშირი კონსულტაციის შედეგად, დღეს მაკურსებელს საშუალება აქვს, "ჯარისკაცის მამის" უკვე ფერადი ვერსიაც იხილოს...

ანა კალანდიაძე  
ჟურნალი "რეტივი"

მეფე-მეცნიერი მიმერ ბაცემული ბრძანება მამათმავლობის შესახებ



ჩვენ ირაკლი მეფემან, მკვრობელმან ქართლისა და კახეთისამან, ნებაყოფლობითა სრულფერითანად ჩვენის ქვეყნების თავადთა, აზნაურთა, დიდგვართა და გლეხთა: ღვთისმოწყალებით ამას ზედა დიად გულდაჯერებულ ვართ, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ყოფილა და არც არის ამისთანა ავნი და ღვთისგანმარხისხებელნი საქმენი, მაგრამ ჩვენ ხალხს ვაფრთხილებთ: თუ ვინმე ამისთანა საქმის მქნელი გამოჩნდეს – ან მომწამლელი, ან კაცის შემკრელი, ან სიყვარულის და სიძულვილის წამლის მიმცემნი, ან ღვთის დიად განმარხისხებლისა და მიუტყუებელისა ფინთისა და მყარლისა და ცეცხლით საუკუნოდ მწყელისა მამათმავლობის მქმნელი, მამაღნი ანუ დედაღნი, ესენი უნდა ძალიან და საანდაზო ჯაჯაბეთი (ჯაჯა-ღამნაშავე კაცის ტანჯვა-წამება) დახისოცნენ.

ეს განჩინება ყოველმა ეპისკოპოსმა თავის სამწყსოს საყდრებში თავის ხალხს წაუკითხონ და გააფრთხილონ. (1767 წელი მეფე – ერეკლე).

მამათმავლობა და სხვა არატრადიციული სექსუალური ურთიერთობები რომ სრულიად უცხო და მიუღებელი იყო ქართული სინამდვილისათვის, ამაზე ერეკლე მეფის მიერ გამოცემული ბრძანებაც დადასტურებს. ესეც ხომ ჩვენი ტრადიციის ღამაში ფურცელია, რომელიც მოსვენებას უკარგავს ევროამერიკულ ლიბერასტებს. სწორედ ამიტომ, ევროამერიკელი მასონები და სოროსის ძუძუნაჭამი ქართველი ლიბერასტები ყოველმა საშუალებების გამოყენებით ცდილობენ ჩვენი ღამაში და სუფთა ტრადიციების განადგურებას!

ისე კი, ბეწვზე არიან გადარჩენილი დღევანდელი პედერასტები – "ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტები, ვაჭარაძის "საწმისო" და სხვა უფიქრობი, რომ ერეკლე მეორის პერიოდში ამ მოველინენ ამ ცოდვილ ქვეყანას, თორემ ჯაჯაბით დაიხოცებოდნენ და ჯოჯოხეთში აღმოჩნდებოდნენ. თუმცა, თუ თავისი სიკვდილით ნააბარებენ სულს სატანას, ჯოჯოხეთში მაინც გარანტირებული ექნებათ ადგილი ღვთის მიერ დადგენილი კანონების უგულვებელყოფისათვის!

ქართველი ერის კოლექტიური მონობა უნდა დამთავრდეს!

მალე დამთავრდება სირიაში მასონების მიერ განაღებული ომი, რუსეთის პრეზიდენტის ბატონ ვლადიმერ პუტინის ძალისხმევით. ჩვენ ყველანი დავბრუნდებით სამშობლოში.

სამართლმლოს ე.წ. მთავრობებს: ტირან, მასონ (აუ ბანსვენაშულ) შავარდნაძის ხუნტას, მასონ სააკიან-ცის ბანდას, კამენას და იშლანს!..

თქვენ, ყველანი აბეთ პასუხს კანონის და ერის წინაშე დაიხვედით უკაცრესად, სამშობლოს დაღატაცა და გაყიდვისათვის. გვაქვს უამრავი ვიდუოფირი და აუდიომასალა, რომელიც მოიცავს პერიოდს 1991 წლიდან დღემდე, რის საფუძველზეც პროგრესული მსოფლიოს წინაშე დაგიმტიცვებთ, რომ გასამართლებას იმსახურებთ.

კუცხადებთ ნაცებს და ამერიკულ „ოცნებას“: შეწყვიტეთ ყველა ქართველი პატრიოტის დევნა, გინება და ღანძღვა: ციხეში გამომწყვედური ირაკლი დოკვიძის, რომელიც ამერიკის ელჩის ბრძანებით,

ამოღებულ იქნა პოლიტპატიმრების სიიდან და თქვენი მარადიული მტრების...

საქართველოს ტრაველია მდგომარეობს არა მის ახლანდელ ეკონომიურ სიდუხჭირეში, არამედ, უპირველესად, სულიერ კრიზისში, რომელიც ეროვნული იდეის, ანუ ქართველთა სულიერების შეგნების უარყოფას მოჰყვა. ამიტომ, ერის კრიზისიდან გამოყვანისათვის გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა ეკონომიურ რეფორმებს, არა ქართველი „პოლიტიკოსების“ საზღვარგარეთულ გასტროლებს, ან ქართველი ახალგაზრდების ზოგიერთ წარმომადგენელთა საზღვარგარეთის ქვეყნებში სამუშაოდ, სასწავლებლად წასვლას და სხვა მეორეხარისხოვან ქმედებებს, არამედ ქართველთა დაკარგული რწმენის დაბრუნებას, მთელი ერის, საქართველოს მთელი მოსახლეობის აღმშენებლობითი ქმედითუნარიანობის განახლებას, საქართველოს სულიერი მისიის აღორძინებას...

დღეს, მრავალია სხვათა განმკითხავი, ძლიერ მცირედნი, კი საკუთარ ცოდვითა

მომნანიებელნი, ყველას ბელადობა, უფროსობა, სხვათა ბედის განმგებლობა, ერის წინამძღოლობა სურთ: პაატა ბურჭულაძეს, ნინო ბურჯანაძეს, შალვა ნათელაშვილი და სხვებს.

ერის წინამძღოლობის უნარი ხომ ღვთივ მინიჭებული მადლია. თუ კაცს ეს მადლი არ ახლავს, იგი ვერ შესძლებს წინამძღოლის უმძიმესი ტვირთის ზიდვას, ვერ შეძლებს იმ ღვთაებრივი სიტყვის თქმას, რომელსაც ერი ელოდება თავისი რჩეულისაგან. გავიწყდებათ, რომ როგორც უბირი ვერ გახდება ბრძენი, ასევე მკვლელი და ავაზაკი ვერ ეღირსება გმირის სახელის მოპოვებას. დროებითი და მოჩვენებითი, როგორც შლეგის ბრძენობა, ისე ღაწრის გმირობაც, მანამდე კი, ყველაფერი ავწონდავწონოთ, უღირსნი ღირსეულთაგან გამოვარჩიოთ, შური და მტრობა დავავარცხნოთ, ღვთაებრივ სიყვარულს ვეზიაროთ და მამულისთვის ვალის გადასახდელად მოვემზადოთ.

დღეს, ჩვენი უპირველესი საზრუნავი

საქართველოა, რომელიც ახლა, თავის უმძიმეს ხანას ერიცხება, ხანას მოტანილს მავანთა უმტრების, გაუტანლობის, განდგომისა და მტერთან კავშირის გამო, რომლის აცილება ვერ შესძლებს ერთგულმა, ერის მოყვარულმა შვილებმა. სავალალოდ, მათ შორისაც მცირედნი აღმოჩნდნენ მზად ქვეყნის ბოლომდე სამსახურისთვის და თავგანწირვისთვის.

დადგება განკითხვის ჟამი, ერი მოკითხავს სამშობლოს ბედით შეჭირვებულ შვილებს, ჭეშმარიტ რაინდებს, რათა მთავალი თაობა მათ მაგალითზე აღიზარდოს.

საქართველოს კანონიერი და ერთადერთი პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას კავკასიის ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის 3035 მებრძოლის სახელით: დავით ჯანდიერი, მარტია სავანელი, ლაშა ბამსახურდია სირია, დამასკო



რაბი. ლეიონი: ორი ქართული ლელო ფრანგულ ელიტაში



საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტურ, მეორე დივიზიონში ბოლოსწინა ტურის შეხვედრები გაიმართა. უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ ელიტური, პირველი დივიზიონის საგზური ზაზა ნაეროზაშვილისა და გიორგი ჯავახიას "ლიონმა" მოიპოვა.

დარჩენილი ერთი საგზურისთვის ოთხმა გუნდმა უნდა იბრძოლოს. ამათგან ერთი უკვე ცნობილია. ეს ანტონ ფეიქრიშვილის "ბაიონა".

პლეი ოფის დარჩენილი სამი ადგილისთვის კი ერთბაშად ხუთი გუნდი იბრძვის. აქედან ოთხი ქართველი მორაგბეებისაა. ესენია: "მონ დე მარსანი", "ორიაკი", "ბეზიე" და "პერპინიანი".

"ლიონმა" ბოლოსწინა ტურში სტუმრად ითამაშა "ნარბონთან" და მინიმალური სხვაობით, 20:21 წააგო. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ პირველად ითამაშა ქართველმა პირველხაზელმა ზაზა ნაეროზაშვილმა. ის თამაშში მოგვიანებით - 77-ე წუთიდან ჩაერთო. იმედგარეულად გამოჩნდა მოედანზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მესამეხაზელი გიორგი ჯავახია.

ლიდერებში დაბრუნდა აგრეთვე ბექა გორგაძის "მონ დე მარსანი", რომელმაც

შინ უშუალო კონკურენტი, ლევან დათუნაშვილის, ნიკოლოზ ხატიაშვილისა და მერაბ შარიქაძის "ორიაკი" დაამარცხა - 36:18.

შარიქაძემ სრულად ითამაშა და 52-ე წუთზე ლელო გაიტანა, დათუნაშვილი 47-ე წუთზე შეცვალეს, ხატიაშვილმა შეიძლია წუთით მეტი ითამაშა, გორგაძე განაცხადში არ იყო.

მარსანელები ახლა "ორიაკს" ერთი ქულით უსწრებენ და სატურნო ცხრილში მესამე ადგილზე არიან. მეორე ადგილი კი ანტონ ფეიქრიშვილის "ბაიონს" უკავია, რომელმაც სტუმრად წააგო ლაშა ლომიძის "ბეზიესთან" - 12:36.

ლანგელოკელებმა ამ გამარჯვებით პლეი ოფში მოხვედრის შანსი შეინარჩუნეს. ფეიქრიშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 65-ე წუთზე შეცვალეს. ლომიძეს არ უთამაშია.

"ბეზიეს" კონკურენცია დიმიტრი ბასილაიასა და გიორგი მჭედლიშვილის "პერპინიანი", რომელმაც შინ დაამარცხა აუტსაიდერი, გიორგი ზაქაშვილის "ექსი" - 31:17. ბასილაიამ, რომელიც ძირითად შემადგენლობაში იყო, 22-ე წუთზე ლელო გაიტანა, მოგვიანებით კი, 56-ე წუთზე დაშავდა და შეცვალეს; ზაქაშვილი თამაშ-

ში 52-ე წუთიდან ჩაერთო, მჭედლიშვილი მოედანზე 12 წუთის შემდეგ გამოჩნდა.

"პერპინიანს", ისევე, როგორც "ბეზიეს", 73 ქულა აქვს და ბოლო ტურში სტუმრად ერთ-ერთ აუტსაიდერ "დაქსთან" მატჩში საპრემიო ქულით გამარჯვება სჭირდება. სტუმრად, "მონ-

ტობანთან" თამაშობს "ბეზიეც". უკეთესი მდგომარეობა აქვს "ორიაკს", რომელიც შინ ეთამაშება უმოტივაციო "ბაიონს". ასევე უმოტივაციოა დარჩენილი "ბაიონიც", რომელიც შინ მიიღებს "მონ დე მარსანს", რომელსაც პლეი ოფში მოსახვედრად ერთი ქულაც ჰყოფნის.

- Pro D2. XXIX ტური
- ბეზიე-ბაიონი 36:12
  - პერპინიანი-ექსი 31:17
  - ალბი-კარკასონი 37:15
  - ბიარიცი-მონტობანი 38:23
  - კოლომე-ბურგუნე 42:0
  - ნარბონი-ლიონი 21:20
  - ტარბი-დაქსი 15:6
  - მარსანი-ორიაკი 36:18
  - სატურნო მდგომარეობა

- ლიონი 29 24 0 5 +461 112(16)
- ბაიონი 29 18 1 10 +52 82(8)
- მარსანი 29 17 1 11 +50 78(8)
- ორიაკი 29 17 0 12 +103 77(9)
- კოლომე 29 15 3 11 +32 74(8)
- ბეზიე 29 16 1 12 +74 73(7)
- პერპინიანი 29 15 1 13 +74 73(11)

- ბიარიცი 29 14 0 15 +26 64(8)
- ალბი 29 13 2 14 -35 62(5)
- ნარბონი 29 13 0 16 -50 59(7)
- მონტობანი 29 12 0 17 -45 58(10)
- ბურგუნე 29 11 0 18 -78 57(13)
- ტარბი 29 13 0 16 -56 53(9)
- კარკასონი 29 11 0 18 -250 49(5)
- დაქსი 29 9 1 19 -188 44(6)
- ექსი 29 9 0 20 -168 42(6)

Federal დივიზიონში პლეი ოფის ნახევარფინალური მატჩები გაიმართა, რომლის შედეგადაც ელიტურ, მეორე დივიზიონში დაწინაურებულთა ვინაობა გაირკვა.

შალვა სუთიაშვილის, საბა ქართველიშვილისა და ლაშა თავბერიძის "ანგულემმა" ორი მატჩის ჯამში "ბურგან ბრესი" დაამარცხა და მომავალი სეზონიდან მეორე დივიზიონში ითამაშებს.

ჩვენებურთა გუნდმა პირველი მატჩი სტუმრად გამართა და 22:17 გაიმარჯვა. ამ შეხვედრაში სუთიაშვილმა გამარჯვების მომტანი ლელო გაიტანა. საპასუხო შეხვედრაც ანგულემელთა გამარჯვებით დასრულდა - 22:19.

სუთიაშვილი ძირითად შემადგენლობაში იყო და 54-ე წუთზე შეცვალეს. ქართველიშვილსა და თავბერიძეს ამ შეხვედრებში მონაწილეობა არ მიუღიათ.

სამწუხაროდ, არ გაუმართლა დავით აშვეთიას, დავით დადუნაშვილისა და ვახტანგ ახობაძის "მასის", რომლის მწვერთელიც ასევე ჩვენი თანამემამულე ვიქტორ დიდებულძია. პარიზელებმა "ვანთან" პირველი მატჩი მინიმალური სხვაობით წააგეს - 31:32. ცხადია, განმეორებით შეხვედრაში გამარჯვების შანსი ჰქონდათ, მაგრამ აქაც დამარცხდნენ - 13:25.

აშვეთია ძირითად შემადგენლობაში იყო და 34-ე წუთზე ახობაძემ შეცვალა. დადუნაშვილმა მოედანი 49-ე წუთზე დატოვა.

გამოვიდა სერგეი კრემლიოვის ნიგნ "ლავრენტი ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი"-ს თარგმანის მეოთხე ტომი, რითაც დასრულდა ოთხტომიანი გამოცემა



უკვე გამოვიდა I, II, III და IV ტომები სერგეი კრემლიოვის წიგნისა "ბერია - XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი" (რედაქტორი ალექსანდრე შენგელია). გამოცემა განხორციელდა სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" მხარდაჭერით. წიგნების შექმნა შეიძლება ზუგდიდში, რუსთაველის ქ. №68-ში, სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ოფისში. ტელ. 599.209.624

თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374.

სახალხო მოძრაობა "სამეგრელოს" ხელშეწყობით, ქართულ ენაზე, გამოვიდა დიდი რუსი პუბლიცისტის, საქართველოში მე-19 საუკუნის თვალსაჩინო საზოგადოებრივი მოღვაწის ვასილ ვედეკინის წიგნი "კამკასია", რომელიც ადრე სრულად დაიბეჭდა ჩვენს გაზეთში.

წინასიტყვაობის ავტორები და შემდგენელები არიან როლანდ ჯალალანია და ნუზუარ ბოზუა. თბილისში წიგნის რეალიზაცია მოხდება ყოველდღე მეტრო "მარჯანიშვილის" ამოსასვლელში, გაზეთების გამყიდველ პაატასთან.

ცნობისათვის დარეკეთ - 557.324.374

იხმლორი

- ექიმო, იცით, თმა მცვივია!
  - იმიტომ, რომ ბევრს ნერვიულობთ.
  - როგორ არ ვინერვიულო, როცა თმა მცვივია!
- \*\*\*
- მარო, შენი ქმარი კოჭლია?
  - რას ამბობ, ქა, კოჭლი კი არა, ცალი ფეხი გრძელიც კი აქვს.
- \*\*\*
- დილით ადრე ნეხვიდან გამოძვრა ორი ჭია - დედა და შვილი.
- დედიკო, ეს რა შრიადებს ასე მწვანედ და ლამაზად? - ეკითხება შვილი.
  - ეს ტყე არის, შვილო!
  - ასე ლურჯად რა ლივლივებს?
  - ეგ ზღვა არის, შვილო!
  - და ჩვენ ნეხვში რატომ ვცხოვრობთ?
  - ეს არის ჩვენი სამშობლო, შვილო!
- \*\*\*
- გოგო და ბიჭი ხელისხელჩაკიდულელები მოდიან.
- გოგო ეუბნება ბიჭს: - რა ოფლიანი ხელები გაქვს?
- შენ ფეხები უნდა ნახო...

**გარდაიხველა სახალხო მკურნალი. რომელმაც მოუგო ომი იმპერატორს ნაშიონალურ ფარმაკომაშიანს, მის დაქირვანს რომ სდილობდა.**

ლომინტი ბაზნიძის მიერ შექმნილი პრეპარატი არჩენს ათვისებებიან სიმსივნურ დაავადებებს, კუჭ-ნაწლავის გაუფალობას, კოლიტს, ფისტულას, პროსტატიტს, ბუასილს, ნერვის ანთებას, ნერვოზს, ფსიქიკურად დაავადებულებს, პეკურნავს გაფანტული სკლეროზს და შიდსს, შეეღის ცერებრალურ დამბლას, ყურებიდან ჩირქიდან, ბოტულიზმს, ტუბერკულოზს, ცეროზს I და II სტადიებში, C-ჰეპატიტს, ნადღლის ბუშტის დაავადებებს, ანთებით პროცესებს, სახსრების დაავადებებს, აშკარებს იმუნიტეტს, და სხვა მრავალ დაავადებას.

ახლა მეურნავის საქმეს აგრძელებენ მისი შვილები: ზეზუა და დორო.

კოორდინატები: თბილისი, აწყურის ქუჩა №70 (მეტრო "ისანთან"), ყოველდღე - 10-დან 16 საათამდე.

ტელ: 593-22-66-51, 593-62-28-48

**მასთან სიცოცხლეზე ხელჩაქმეულები მიდიან და ჯანმრთელები ბრუნდებიან**